

645  
1984

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ბიბლიოთეკა

LSSN 0821-1509

8  
1984

# პულოსკით!

პოეტ-აკადემიკოსს, სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ბრიგოლ აბაშიძეს 70 წელი შეუსრულდა.



„საქართველოს კალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ ლიტერატურული ჟურნალი.



«САКРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

645  
1984

# გმირთა სავანეში



მარცხნიდან პირველი ციური მოწყობილი

17725

ხუცებანი, გვარა, ქვედა სამება — ეს სამი სოფელია გაერთიანებული ხუცებანის ლეხინის ორდენოსან კოლმეურნეობაში, ამ სოფლების მკვიდრნი ინაწილებენ თავიანთ გასაკეთებელ საქმეს კოლმეურნეობის მიერ შესასრულებელი დიდი გეგმებიდან. მათ შარშან მოკრიფეს 4 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჩააბარეს 1,159 ტონა ნარინჯოვანი ციტრუსი, მოიყვანეს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უხვი მოსავალი და წლის ბოლოს 3,5 მილიონად

ნამდგ გაზარდეს კოლმეურნეობის შემოსავალი. მილიონერ კოლმეურნეობას არ შეიძლება შეიღებოდა ღარიბები ჰყავდეს. ორსართულიანი, მდიდრულად მოწყობილი სახლები, ცენტრუსებით და ჩაით დაბურული ეზოები, მსუბუქი ავტომანქანები ბევრ რამეს მოწოდებს. გმირთა სავანეს უწოდებენ ხუცებანს. თერამეტი სოციალისტური შრომის გმირი ცხოვრობს და აშენებს თანამედროვე სოციალისტურ სოფელს. 18 გმირს მომავალი გმი-

რები შემოსჯარვიან და უტოლდებიან შრომაში. სადაც არის წამოყვანიან, სადაც არის გაუსწრებენ კიდევ. განსაკუთრებით ეს ახალგაზრდებზე ითქმის, რომელთაც აიძულებოდ აქვთ მინდობილი სოფლის მომავალი. აქ ცხოვრობს ციური ნოდარის ასული მოწყობილი, საქართველოს კომკავშირის 32-ე ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტთან ოსტებული რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის კურსდამთავრებული, სსრ

ქ. შარტავის რაი. საქ. შპს  
საქსტალი ქარხანაში



# ყვალაზე დიდი ღირსება

წერილი მამაქნის

საღამო შევიღობისა, წემო კეთილი გოვონა!

როგორ გვეუბო ახალ - სკოლის შემდგომ ცხოვრებას? ანაწვე თუ არა, რომ იცვლება წყენი ურთიერთობანი შენს შინაბთ? ვაგონი-ხელ საიდუმლოს: წვენი - ოჯახის წევრებმა და ახლებლებმა მოვლადარაკეთ, რომ მო-აქვსთო როგორც თანატოლები, თანასწორულ-ღობისანი, მოვეკვროთ როგორც ადამიანს, რომელსაც უკუვარკეთ, ესმის წვენი.

ვაკვირდები და გვადავ: ზოგჯერ გვეუ-ხოება წვენი ახალი ურთიერთობების შინა-არსი, ხან გველის, კიდევ, როცა რაიმე სა-ქმეს დაეძინებები (აღრე თუ მოგწონდათ, ახლა რაბთო აღარ მოგწონიათ), ხან ვაკვირის (როცა მაგალითად, რაიმე რჩევას გვეთ-ხვებით); მხრებს იწინავ და ვაოცდული გვეკითხები: „მე რა უნდა ვითორათ, მე რა ვიცი?“ ხან ვინაობა, თუ წვენმა წნობამ შენს მოლოდინს გადააჭარბა. ზოგჯერ კი, იქნებ, შენთვის შეუნწყველიც რჩება წვე-ნი შევიღობის დამკვიდრებლადანი, რადგან ჩვენს ოჯახში დამკვიდრებული ცხოვრების წესის გაგრძელებად მიიწნევა. ამგვად, ასე ვთქვათ, ვარდამავალი პერიოდის გვაქვს: ვერც წვენი დაგხსნილვართი მოლოდინად იმ წარმოდგენას, რომ შენ ახალე ბავშვი ხარ და აღარც მოწინავე და ვერც შენ იგილებ ჯერჯერობით ბავშვობისა და მოწინავეობის ეტეობის. მაგრამ, მოუხდავად მთავროდენი ვარდამავლობისა, ვეკადრები, ვეფიქრობ, მა-ინც ვარდამავ მიიღის. რაბოდაც შეგწინავა, რომ წვენს ქალბოვიში თავგადასვლაობა და ვინაობისა სძლევეს ბავშვურ აფეთქებე-ბისა და ემოციებს.

თუმცაღ, შეილო, უფრო მაგრად და შეუ-პოვრად უნდა დაუჭრდე შენი „მარტის“ ასა-კის ტრეკველობებს. შენს იტვალე ტრია-ლის ვეწინა ადამიანები, რომლებაც შენი, სწო-რედ შენი და არა სხვისი ბუღისსხივებმა, თანაგრძობისა და კეთილი ბუღისს სჭირდებ-მათ. ისინი დიდი ხანია ულოდინენ ამ სასა-ხუხისსებებო აღარბისა და გულისსითრე-ბის, როგორც მაცოცხლებელ ვეწინა წიხისა ულიან ვეკვლავან გატრუსული ვიძი-მოდ-ერები. ის შეიძლება რაბოდაც იმის, თუ მა-რტის ტრეკველობებს დაინავევინებ თავს? - კარგი და ხასიათებელი - ანაწვირი. არის ზოგიერთი საყმაწვილო სწერი, რასაც ბავ-

შვენი ერთხელ და სამუდამოდ იხდიან. თუ დედა იხე მოუვლის შეილს, როგორც წე-სია, მამანი ხასიად მოკლე ხანში ჩაიღობს და არ ანებებს, პირიქით, ვაამაგრებს ორ-განიზმს, რომ მომავალში ასეთი ავადმყო-ფობანი არ შეეყაროს...

თუ ურთიერთობის, აღზრდის ნორმები დიარდება, მამანი „მარტის“ ასაკი უფოლ-დაურეკვების ჰებუკსა და ქალიშვილს თავის ვარაულებებს: ვკოიზმს, გულანთხრობილო-ბის, შურთანობის გრძობას, უაზრო მორი-დებულობისა თუ შიშის განდევნებს, ან სხვაც თავებურ ქვეყებს. აქ კიდევ ერთხელ შე-ვაღიარებ ერთმანეთს „მარტის“ ასაკსა და სა-ხანდებს. როცა ბავშვი ხსადას იხდის, თეთ-იღუნ უნდა ესმოდე, რომ ექიმის დარეკე-ბების შესრულება აუცილებელია. მამანი უფ-როსსაც ვაუაღიარებდა ბავშვის მოვლა და აუ-კრ ხსადას მოქვეება ვართლებდა. ახლა ქალიშვილს დარეკურწველი, რომელიც „მა-რტის“ ასაკის ხსადასებს იხდის. ვინ სიღობს მის კვადრეკალ, რომ ყოველი ცალკეული ვითარებისთვის მოქმედების რეაქციები ვა-მოუწეროს? რობელი 15-16 წლის ქალიშვი-ლი მოითმენს, უფროსთა დარეკულებელი რჩევა-დარეკებები ისინის? ვართლებთათა საწმომოვრება ეს დიდა: დროდღერი ვადასა-ლევს ქალიშვილს რაღაც პრეტენზიები და თუ ვერ ვაიგებს, რომ მის იტვალე სხე-ვიე არიან, მამანი თავვერძობა ჩაისახება; მოეწინავს; რომ ახლობლები ვერ უკვებ-ნის. და თუ საბიროსბირობი ამ დარწმუნ-დება, მამანი უფროსებს უპატრეკველებო მოეპყრება; უფროსების გულწრფელი სურ-ვლები და შენიშვნები შეიძლება წვენად მიიღოს და მამანი უაზრობას ან ბუტიობას მოქვეყავა...

აღზრდის მოვლი მიზანი ის არის, რომ ადამიანი თავის თავს შევიჭიოს, რადგან პიროვნებას მხოლოდ საკუთარ თავთან პრი-მალში შეიძლება ჩამოვადობდეს; აღზრდე-ლი მთავარი საზრუნავი კი ის არის, რომ დავებმაროს აღზარდვლს, ვაამარტობის ამ ქვადობი.

„რეკვ ვადილობა ნებასა“, შეილო! პი-როვნება მამანი კი არა ხარ, როცა რაც ვე-ნდა, იმას კვლავ, არამედ მამანი, როცა სა-კუთარ თუ სხვათა ვინაობებამ დაკვეები და ხსადე არის საჭირო და ხსარტებელი, -

პირველ რიგში სხვისთვის, ვეოერ რიგში კი შენთვის, - იმას ვაკვლავთ, ვაკვლავთ ბო-ლოდ და მოუპოვრად. საკუთარ სურვილთა ა-ოლას დედა ჭკუა არ უნდა, მაგრამ კეთილ-რჩევების დაყოლა კი დიდი სიბრძნეა; საკუთარ თავზე ზრუნვა დიდ გულმომიღობაში არ ჩამოვეკრებება, მაგრამ ადამიანებზე ზრუნ-ვს კი დავამიღობენ და მოქალაქეობრივ სიმამრდებს ჩავთვლიან. სხვისი ტკივილის თანავგრძობა საკუთარ ტკივილს ვაეოცრებს, შეილო, სხვისთვის სისხარული მინიჭება სა-კუთარ სისხარულს ვიმარტლებს. ასეთია წე-მი, წვენი ოჯახის წევრობრივ ფილოსოფიაა, ასეთია წვენი საზოგადოების მორალური ვა-წივების. ეს ფილოსოფია, ეს საწივები ვა-ფილსონს რაბეკავიობას: ჩაიხდავ და დი-ანსა, როგორი ხარ და როგორი შეგეძინა-სხევა.

უფრო სწორად, ეს ვაღოსონის საკრე-კვადობის არიან, რადგან მათთან ვასა-წინებული ვეკლა წევრობრივ პრინციპი. ადა-მიანებთან ურთიერთობაში შეიჭინოს საკუ-თარი თავს, მხოლოდ ადამიანებთან ურთი-ობაშია, მათთან ურთობელი შრომაში ვაი-გებს, ვინ ხარ, რა შეგიძლია, რას ულიან და მოითხოვენ შენგან, რის ნებას ვაძლევენ და რისას - არა. ადამიანებთან ურთი-ობაშია იმასაც მიხედვები, რა არის შენი, სწორედ შენი ვასაკრეკველი და მოსაწერი-ბები. წვენს საზოგადოებრივ ვიტრებობაში და, რაც მთავარია, რომ ადამიანი მარტო თავისთვის არ არის ვანგნებელი, არც შენ ვა-წინებისა მარტო შენთვის, წვენ ვეკლა ვეო-მანებისთვის ვანგნელი, ვაგნელით იმი-ტომ, რომ მარტოველი ადამიანობას დავარ-გავს და დილევება, ვითად კი, ერთმანეთის დახმარებით, ერთმანეთზე ზრუნვით ვა-დამიანი ადამიანების კვრსხეცეკვე ავეყვას; არ ენობა, რომ ირმებეობი ვინმეღობის მხო-ლოდ ბეჭდა პალაბის ვაგვეწყოლო, ვეცი, წვენ ბეჭერი ვაქვს, მაგრამ წვენან მოითმე-ული ვესამოვეწნაობა“.

იგი, რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთ-ობას ადამიანთა ცხოვრებაში? იგივე, რაც დე-დამინის მიზნობლობისა, რომ წვენი დედა-მინაზე შეიღობ ვიდევით, არ მიხედვს, თუ დედამინა დაკარგავს მოზღვდლობის ძალას? - იმას ვეძნება, რომ მოწინავედებით მას, ტყუა-ასავით ვაქანდებობი სიერეები და ხსადე

უკულოვ გაქვრებიო. პოდა, მაშინ რაღა მოხდება, თუ ერთ მშენებერ დღეს ადამიანები ერთმანეთთან კავშირს დაკარგავენ? ამის წარმოდგენა ალბათ უფრო ძნელია. მოხდება ის, რომ ადამიანი დაკარგავს ცხოვრების აზრს, ინტერესს, ხალხს. მივირს წარმოვიდგინო ასეთი საზოგადოება (ან ხა-დეც იქნება საზოგადოება), რაგან ადამიანი მხოლოდ არ არის, ვინც ადამიანზე ზრუნავს, აზრობდაზეც და შიშობდაზეც; ნაინათზეც და უცნობზეც; იცავს წარსულ ადამიანთა ღირსებას, დღევანდელ ადამიანთა უფლებებს, მომავალ თაობათა იმედს, ადამიანი ის არის, ვინც შიშობ ადამიანისათვის, ნაინათისათვის თუ უცნობისათვის, ხან-თელიყო იწეის. ხან შიშობა, დღის სინათლე მიიტოვ არსებობს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ერთმანეთისთვის იწეის. ვეულო რომ იწეოდეს ერთმანეთისთვის, მაშინ ღა-ერს განაწილებდა.

**რას იხოვენ ადამიანები შენგან?**

— უფსონი, ალბათ, იმას, რომ დაგმბარო ქალს, რომელზეც გულის მიულოდნელად უღელდა და კინადმ ტროტუარზე დაიგვი; ან თავხზიანად და კლიოლეწყუბით აუხსნა ჩამოხულს, როგორ მიავნის ქუჩას, რომელ-საც ეძებს; იქნებ იმასაც იხოვენ, რომ არ აიბო ქუჩაში იხე, ვითომ ქუჩავის ამწევე; ან არავის არად აფედს, ან შენ თითქოს არა-ფერ გუქნება, შუბოლებს დაასწრო კეთილი და თავხაზი საღიბი, გამოხეულობო, არ გერიდებოღეს მთხივედ მათთან სამუშო-ლოდ ვინავე ერთი ნაჭერი პურის ან ერთი კოჭი მარილის ხასხსებოდა და შენც მზად იყო გაუწეო მათ სამუშოლო ხელი. „ჰეი-ლო, მიდი როზა დეიდასთან, იქნებ აქებს ციტრონები ნიორი, გვესდესსო!“, გმეცხვენიდა, ვერ მივალ...“ აი, ეს არის „მარტის“ ასა-კი — „მრცხვენია“ რისი გრცხვენივა? ამი-სი, რომ ოჯახში არ აღმოვეყანხ და ორა კიბო-ნი ნიორი, თუ იმისი. რომ დაელაპარაკო ადამიანს? ხომ ვეწიხვება დეიდა როზას, როცა ვაივებს, რომ მასთან სამუშოლოდ მიხვალას გრცხვენივა? ალბათ ვერ მიმილო კვილო მუშობოლოდ, იტყვის. შუბოლობო კი ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებს და ამგობობებს. ახლა უზამზარაბო ხასხხები შე-ნდება, შიგ ახო, როსიანი, იქნებ მასისი და მტერი ოჯახის არის შიოთავსებოლი. თან-მდები ქრება წვენი პატარა ხასხხები და ზუბით, სადეც მუშობოლი კეთილი ნათე-ვახვეუბით სიფობობენ, ერთმანეთის სიხა-რულსა და ჰირ-ვარას თანხარად ინაწილე-ბენენ. დიდ ხასხხებში კი ადამიანები ერთ-მანეთს სცილდებიან, უცხოვდებიან. მოი-თმინითი უ? — არა, წვენი წესი არ არის უმუშოლოდ ცხოვრება: ერთმანეთთან ახ-ლდომიხვებოდ ადამიანთა ურთიერთობის შიოთავარი პირი კვილო შეშობოლობია — ხან ნიორს ისხებდა, ხან ორ მანეთს გვესხებო-ბენი, ხან მოხდა შერე! კარგია რომ, ადამი-ანები ერთმანეთს ამოვადებენ, მხარბი უღვანან. ვეულოზე დიდ იმედს შენზეც ჩვენ — ოჯა-ხის წევრები და ახლო ნათესავები ვამე-პარებო. შენ რაღას ვითხოვე შენგან? — ჰი-რველ რიგში იმას, რომ იყო ადამიანებთან


ურთიერთობაში უბრალო და უშუალო, ადა-მიანის ვეულებაზე დიდ ღირსებად მარტში უმ-რავლესებს მიიწვევდა. ხასიხათის პირველე-ობა გურთოულებს ადამიანებს შენთან ურ-თიერთობას, იქნებ ძალიანვე გინდოდეს, მაგრამ ვერ მიანიჭებ მათ სიხარულს, ვერ მიუძღვნო ქტილობებს. რანაირი სულის შეურნალი ჰქნება განაწვევებოლი და გაბე-ტული ქალიშვილი, რომელსაც უნდა იყო, მაგრამ არ შეუღია (ოპ, „მარტის“ ცრე თამბოფავრებოდაც), რომ გულწრფელად აღი-აროს: „არა ვარ მართალი!“, ან ახვევ გულ-წრფელად შემოთავაზოს: „არა უნახვ, მი-პატრებია, რა მოხდა შერე!“ უბრალო ადამი-ანს აფივლად ესმის სხვათა გულისწუხილი, მასაც აფივლად უღებენ; უბრალო ადამიანი ვეულებაზე მივრეული მიუძღრება დასხმბარე-ლოდ, არანფერი არ ვუწხოვება; უბრალო ლითონფერი შიშობსილი. თუ შენც ამას იხე-უვიან, მაშინ ჩვენ სიამაყით ავივებუბით — მამასადამე, წვენი ოჯახის ღირსება მალე-ღება, მამასადამე, ქალიშვილსა გავვიმბარო-ღება... მთოვე რიგში კი ვეულო, დიანახე; გვენდა განვიცალოთ, როგორ მოინდობები შერეულ თითოეულ წვენგანზეც, ურთხობე-ღებში ჩვენს გრმბობებს, გვიინდა დაინახოს, რა რივე ვიყვარს ის ადამიანები, რომელ-თაც აღვზარდეს. ნათქვამია — ამავს გადახ-და უნდაყო. გადახდაც არის და გადახდაც-უნდა ვიხაროდეს, სიამოვნებას გვეგრო-ბავის გადახდა.

რით და როგორ უნდა იხივდე ამავს? შენ თითონი იფიქრე?

მუდმივი ზრუნვა, გულისმხივირება, თანა-გრმბობა, აღურსი, იმედი, კეთილი ღიმი-ლი, ტკბილი სიტყვა, პტივისცემა და უშე-ალობა, უბრალოება ურთიერთობაში — იქნებ ეს არის, რასაც შენგან იხოვენ ის ადამი-ანები, რომელითა წინაშე გააფუხვდელ ველ-ნი ხარ? ამ ვალს იხინი არასოდეს ვაგახსე-ბენენ, მაგრამ როგორც კი მის გადახდას შე-წვევებ, იხინი ისეც მოინწვენ და ჩამოე-რიან თავებს, როგორც ვევირებებს მთოთე-ბათ სოლვე, როცა მაცოცხლებელი წყალი მოყოლებოთ.

წერე ამავის გადახდას დაყოვენ, შეილო, თორემ წლები შირბიან, მოხოდნენ ბები-ები, ასაკში შედიან შიშობლები. როდისაც ვაიხარონ მათ თავიანთი ვეულებაზე დიდი შემეშობებოლი შრომის შედეგით, რასაც შეიღებობს და შეილიშვილებს აღზრდა ქვებია? როდისდა დაინახონ, რომ თორემ უე-ვიდა ხარანერ მარადიულობას, რაიდა შეი-ღებუბსა და შეილიშვილებში ჩასახლდნენ და მათ მომავლისკენ დაემეზარნენ?

ტკბილი ძილს ვიხორებებ, ჩემო ძვირფასო და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, იქევი იმ ზღაპრულ წყაროდ, რომელიც ადამი-ანებს უკედევებას ანიჭებს.



... ჩიტები ჩვენზე მაღლა დაფრენენ, მაგრამ ჩვენ მაინც მათ მაღლა ვდგევართ თუცა სიმაღლის გადასაფრინდელ ორბებს გული შფოთავს და დღევაც, რაღაცის გამო, /ზოგჯერ ჩიტების და ზოგჯერ აუხველდ მწვერადებს ვგვივარს.

**მ ი შ ე ლ ი**

თიხებზე მეფერება თოვლი, დიდის ხელითი თბილი, ოქტებთანა და კვლავ ოქვენს შორას, იმედინად ვივლი.

ფუფქვია...  
ფუფქვ მღერის, შრილ-შრილთი თრთოლვა, თბილი, რა თბილი ხელი, აფთარი, რა თეთრი თოვა, დიდის ღიმილი, თორემ, თოვლი ურთევლობის შოვა.

**წუნუ შალაბაგაშვილი**

\* \* \*

სიყმაწვილის ბილიცები შეგჩვენება რად?! სიყვარული მოვანდება, ცუცხებისგან მოვარება, შეწარო რომ მომადებს ლიკოკიით, ჩემი ჭავბი აქვს. ჩემი დარდი აქევი გვირადლებს, სურვილი მოქვას ქარს. გაფრთხილების ზარებია მხოლოდ საჩემო: მათ ასეთი გამოცვლობი როგორ ვეჩვენო? შემიადიდ სიმწვანეში უკვირო იმე? დავიხებოთ გული ჩემი შენაკივში? ნეტა რად მსურს სული ჩემი მივიღროკო აქ. იქნებ ღამაშ ლაპისებს დედოფლო ჰაუხუა?!

**ჯულიანტა მილდიანი**

ტრადიციის დაბადება

# დედის დღე

დღესასწაულს სტუმარი ამშვენებს, მაგრამ იმდენი სტუმარი, რამდენიც აპრილის ამ საამო დღეს ეწვია ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოს, თვით ამ სტუმართმოყვარე ინსტიტუტსაც კი არ ახსოვს, თითქოს აქ დიზერტყაკალთა მადლიანმა გავაფხულმა. მთელი თავისი ელვარე სილამაზე, მზის ღიმილად დაღვრილი სითბო, ზღვა ყვავილები და ახლადგადაფოთილი ხეთა ჩუმი ჩურჩული...

თვითონაც ყვავილებს მიგაგდენენ ინსტიტუტის ეზოში მოყრიაშულე ბავშვები, რომელთა ნათელი ღიმილი კიდევ უფრო აღამაზებდა ბჭაურობას, ფერად-ფერადი ბუშტუებით, საჩუქრებით, სადღესასწაულო სუფრით შეეგება ინსტიტუტი თავის „შვილიშვილებს“ (ამიერიდან ოფიციალურად ასე უწოდებენ ინსტიტუტის სტუდენტთა შვილებს, რომელთა სტუმრობას ასე დღესასწაულობდა ინსტიტუტი). თოჯინები და დათუნიები დაურეცდათ მათ. დედებს კი გადაეცათ სამკერდნიშნები დედა-შვილის გამოსახულებით.

„დედის დღე“ ეწოდებოდა ამ ღამაზე ღონისძიებას, რომელიც „სტუდენტური გავაფხული-84-ის“ მრავალფეროვანი პროგრამის გვირგვინად იქცა და ალბათ სიმოკლოურია ისიც, რომ რესპუბლიკაში პირველად სწორედ აქ — მომავალ პედაგოგთა სამკედლოში ჩაეყარა მას საფუძველი.

მთელი ინსტიტუტი დღესასწაულობდა „დედის დღეს“, რომლის ორგანიზატორი საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი იყო.

წიშობდა 407 სტუდენტი-დედა თავისი შვილებით, 14 სტუდენტური ოჯახი, ინსტიტუტის რექტორი, პარტიული, კომკავშირული კომიტეტი, პროკავშირული ორგანიზაცია, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები. კომკავშირის კომიტეტის მდივნის კ. ბურნეულის შემდეგ სცენა წიემის მონაწილეებს დაეთმო... სტუდენტი დედების სახელით



ზემოზე



დიდი სტუმარიანობა ჰქონდა იმ დღეს ინსტიტუტს...  
მარცხნიდან პირველი — რექტორი, პროფესორი ნათელა ვასაძე

დამწერეთ მიესალმა წარჩინებული სტუდენტი სოფიკო ნარჩინაშვილი. „არაფერი არ ამშვენებს ქალს ისე, როგორც დედობა, — თქვა მან. ჩვენივე, სტუდენტი დედებისათვის ინსტიტუტში ყველა პირობაა შექმნილი. ჩვენი ვალაა ღირსეულად ვუპასუხოთ ამ დიდ ამბავს და ზრუნვას, აღუზარდოთ ქვეყანას ღირსეული შვილები.“

„მრავალი შვილი საქართველოს უკვდავება“ — ეღუარდ შევარდნაძის ეს სიტყვები გახდებდა წითელ ზოლად ინსტიტუტის სტუმრის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ნინო უჯინას გამოსვლას; სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს უფროსად „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა. ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნათელა ვასაძე სტუდენტ დედებს ჩვეული გულთბილობით მიესალმა და ბედნიერი დედობა, მამულის

ღირსეულ შვილთა აღზრდა, მწიგნობელობა უხურვა. „ყოველი შვილის დაბადება დღესასწაული უნდა იყოს ინსტიტუტში. ყოველგვარი შეღავათები სტუდენტ დედებს“, ზეიმის მონაწილეთა ტაში ფარავდა გამომსვლეთა ამ სიტყვებს.

შემდეგ კი სტუდენტმა დედებმა თავიანთ პირველ შვირებაზე წაიკითხეს მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც მაღლობა გადაუხადეს ყოველდღიური მზრუნველობისა და მხარდაჭერისათვის, იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც ასე სტირდება ყველა დედას, თავიანთ მხრივ კი აღუთქვენ სამშობლოსათვის თავდადებული შვილების აღზრდა, ერთგულება და თანადგომა.

...და არ უჩანდა ბოლო დედის სადიდებელ პოეტურ სიტყვას თუ

სიმღერას, ერთნაირი მგზნებარებით რომ წარმოთქვამდნენ ინსტიტუტის სტუდენტებიც და ნორჩებიც. თითქოს ყველას სურდა თავიანი სხვა შეეწყო იმ მრადიული საგალობლისათვის, ოდითგანვე დედის — სიცოცხლის საწყისისა და სათავის მიმართ რომ გაისმოდა.

ზეიმის ბოლო აკორდი იყო საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის მსმენელთა კონკურსი „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად!“, სადაც გოგონებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება და თავი ისახელეს საუკეთესო კულინარული ნაწარმის მომზადებაში, მოდელირებაში, ხელსაქმეში. კონკურსში გამარჯვებულებს ეუბრებ სამახსოვრო საჩუქრები გადაცა.

ზეიმითა და ზღვა სიხარულით აღნიშნა „დედის დღის“ დაბადება მომავალ პედაგოგთა საშუქლოში.

მედია ლეშკა





მაია, ლილა, გიორგი ჩხეიძეები

# პოლიგრაფისტთა ოჯახი

რუსთაველი ჩამოსვლისთანავე ლილა და გოგი ჩხეიძეებმა საქალაქო სტამბაში დაიწყეს მუშაობა — გოგომ მექანიკოსად, ლილამ — ლინოტიპისტად. ლილას ერთ წელს ვერ ნახავდით სტამბაში უსაქმოდ. თავის საქმეს რომ მორჩებოდა, ხან მზექტადეს ეხმარებოდა, ხან სათაურების ამწყობს და, თანდათან შეისწავლა მონათესავე პროფესიები.

წლები მიდიოდა, ლილას მოწინავეთა რიგებში ასახელებდნენ. როდესაც თავისზე ნათქვამ საქებარ სიტყვას გაიგონებდა, სიწითლე გადაუვლიდა სახეზე და ჩუმად გასცილდებოდა იქაურობას.

ლილა სტამბის ოსტატად დააწინაურეს და როცა კარგად გაართვა თავი შოგალუბობას, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ სტამბის დირექტორობა მიანდეს სტამბის ყოველწერილობაში გარკვეულს არ მოეწონა იქაურობა, რადგან მან-

ქანადანადგარები საკმაოდ მოძველებული იყო და, რაც ყველაზე მთავარია, თვით სტამბა ცუდ ოთახებში იმყოფებოდა. ლილამ პირველი დღიდანვე მიზნად დაისახა ამ სტამბის კეთილმოწყობა, და მეუღლის დახმარებით რამდენიმე წელიწადში შეასრულა კიდევ ეს მიზანი — მანქანადანადგარები შენობის პირველ სართულზე ნათელ ოთახებში დაამონტაჟა ახალაბა აღპურვილობამ, კომპეტეციის ხალისიანმა შრომამ და დაინტერესებამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, უზრუნველყო გეგმების გადაჭარბებით შესრულება. სტამბაში დროულად სრულდება ყველა დაკვეთა, რეგულარულად და ხარისხიანად გამოდის სააწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მრავალტირაჟიანი გაზეთი „ქიმიკოსიც“.

პოლიგრაფიის სიყვარული ცოლქმარმა შევიღებაც გადასდო. სამი

ქალიშვილი ჰყავთ ჩხეიძეებს. უფროსი — მანანა ორი შვილის დედაა და პატარების ზრუნვაში ათენ-ალამებს, მაგრამ პოლიგრაფიაში კარგად ერკვევა და ჭერ მხოლოდ მშობლების წარმატებებით ხარობს. შუათანა გოგონა მაია დედამამს უდგას მხარში და სტამბაში კორექტორად მუშაობს, საჭიროების შემთხვევაში მზექტადის შეცვლაც შეუძლია. უმცროსმა ქალიშვილმა თინიკომ წლეულს დაამთავრა საშუალო სკოლა. ისიც სტამბაში აპირებს მუშაობას.

ხშირად მოისმენთ ქალბატონ ლილასაგან: სამივე შვილი კარგი პოლიგრაფისტი უნდა გაგზარდოთ. ეს სიტყვები მხოლოდ მაშინ შეიძლება თქვას აღამიანმა, როცა კმაყოფილია, უყვარს თავისი საქმე და სხვანაირად ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია, უნდა შთამომავლებიც მის კვალს გაჰყვნენ.

# წლების გადმოსახედიან


...დაიბადა ქალაქ თეთში, ბავშვობამ, უფრო სწორად, ბავშვობის ნაწილმა, ამ პატარა ზღვისპირა ქალაქში გაიზარა. შემდეგ კომპაქტების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა და პატარა ნათელაყ რკინიგზის შექმნის საშუალო სკოლაში მიიყვანეს მშობლებმა. სკოლა წარჩინებია: დამთავრა და მომავალი სპეციალიზაც თვითონ, ყველასაგან დამოუკიდებლად აირჩია.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები: თავგამოდებითა და უდიდესი სიყვარულით ეუფლებოდა თავის მომავალ სპეციალობას, კარგად იცოდა, რა ძნელი გზა უნდა გაეწეოთ გვირაბმშენებელს, მაგრამ სწორედ ეს სიძნელე იზიდავდა.

ინსტიტუტი დამთავრა და ტყვარჩელის მაღაროებში ოთხი წელი იმუშავა. როგორც ახლა იხსენებს ქალბატონი ნათელა, ეს მძიმე, მომჭანცელო, მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესო წლები იყო. ახალგაზრდა სპეციალისტი შახტში ცვლის უფროსად მუშაობდა და გვირაბების მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

...ეს კი ნანატრია და ნაოცნებარის ხორცშესხმა იყო...

...1952 წელი. თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სათავეები. სამთო საქმის გამოცდილი სპეციალისტები თავს იყრიან თბილისში, ძალებს იკრებენ, ახალ კოლექტივს აყალიბებენ, რომელსაც ძნელი, მაგრამ პასუხსაგები საქმე მოელოს, პირველადწყვეთა რიგებში ნათელა კომპაქტ არის, ახლადდაარსებულ თბილგვირაბმშენის სამმართველოს საწარმოო განყოფილების ინჟინრად მუშაობს, შემდეგ ამავე სამმართველოს ერთ-ერთ სამშენებლო-სამონტაჟო კანტონაში გადადის, იქიდან №5-ე საგვირაბო რაზმშია. 1961 წლიდან ნათელა კონკრეტულად საგვირაბო რაზმის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად ნიშნავენ.



წლების გადმოსახედიან მშენებელი ჩანს ნათელას მიერ გახედილი მთელი გზის სიღამაზეც, ეგზოტიკაცა და ამ გზაზე შეხვედრილი, მაგრამ უკვე დაძლეული და გადასახული დამბრკოლებებიც.

დღეს ქალბატონი ნათელა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერია, მიღებული აქვს მრავალი ქუების სიჯარი, 1965 წელს თბილისის მეტროპოლიტენის პირველი ხაზის გაშვებასთან დაკავშირებით შრომის

წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ეს მართლაც ყველაზე ღირსსხსთვარი და ნათელი დღე იყო, გამთბარი სიყვარულით, სიხარულითა და პატივსიყვით.

წლები იქ გარბის... ბევრი მნიშვნელოვანი ნაგებობა შესძინა ნათელა კომპაქტ რესპუბლიკას. მომავალში მას აღზაბთ უფრო მეტი ვქნება თავმისაწონი.



# სილაპაჟის, ჯანბრთვობის, სინატივის პოპნიჭეპი

## მ. ჰურდანი,

საქართველოს პროფსაბოს ფიჯულ-ტურისა და სპორტის განყოფილების გამგე.

ტანვარჩინობადმი მიძღვნილი საინტერესო მასალები.

უშუალოდ ტერმინი „აერობიკა“ დაკავშირებულია ცნობილი ამერიკელი სპორტმენის კენეტი უებერის სახელთან, იგი თავის ნაშრომში „ახალი აერობიკა“ გვიამბობს ვარჯიშების ამ სისტემაზე, რომელიც ხელს უწყობს აღმართის ორგანიზმისთვის ფანჯაღის მიწოდებას, რაც დიდ ეფექტს იძლევა.

ისევე როგორც ცუვა, სირბილი, ტურისტული მოგზაურობები, ველოსპორტა, „აერობიკაც“ სისხლძარღვთა და სასუნთქო ორგანოების გაკეთების დიდებული საშუალება გახლავთ. აერობიკა—რიტმული ტანვარჯიში გარკვეული სახეცვლილებით ეხრობას 70-იანი წლებიდან მოველინა, თუმცა აღდეს, როცა რიტმულ ტანვარჯიშზეა ლაპარაკი, თოოდ მის შემობებს ამერიკელ კონფისიონის ჩინ ფონდას მოიხილენ ბოლმე, მაგრამ ჯერ კიდევ ნახევარი საუუნის წინათ ლეინდარული მოცეკვარი აისედორა ლუნკანი ჩვენს ქვეყანაში მართავდა უცნაურ გაკეთებებს, შერწყმულ-შეზავებულს მუსიკისათა, სინატივისთან, მუსიკისთან, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის უბრალო ელემენტებთან.

რიტმული ტანვარჯიშის წინამორბედა ევროპულდებული გამომსახველ მოძრაობაა ვაიკიზი. XIX საუუნის შუა წლებში ფრანგი პედაგოგი ფ. დელსარტი, რომელიც დამატებულ ხელმოწერებს ეუფლებოდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღმართის ეყუდა ვანცად სხეულის გარკვეულ მოძრაობასთან არის დაკავშირებული, რის საფუძველზეც მან შექმნა „მხატვრული ვესტის გრამატიკა“.

შემდგომ გამომსახველ მოძრაობათა ვარჯიში გამოიყენეს ფიჯიურ აღწრად ფრანგანკურებში ტანვარჯიშითა საქართველოს სპორტის განყოფილებისათვის მზადების წინ, როცა სპორტი იყო ჩაიშე იდის, მავალით დაღვი-

ძაბული ბრძოლის, ვამარჯვების წეიზის გამოსახვა. ახეთი გამოსვლები ჩვეულებრივ მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა.

რიტმული ტანვარჯიშის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩეხოსლოვაკიის თანხლებით გამართულმა ტანვარჯიშითა მასობრივი გამოხვედების გამოცდილებამ. XIX საუუნის დასაწყისიდან და XX საუუნის დასაწყისში წარმოიშვა რიტმული ტანვარჯიშის სპეციალური სისტემები, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო ამერიკაში გახლდათ ანტონიო — ფენევის კონსერვატორიის პროფესორი დელ კროსი. მან შეიმუშავა მუსიკისა და ფიჯიურ ვარჯიშების სისტემა, რომლის მეშვეობითაც იგი აღწევდა სხეულის მოძრაობის სრულ მარმონის უყოველგარ რიტმულ იმპულსთან.

დელ კროსი ერთმანეთსაგან ხაზი ხაზის ვარჯიშს განსხვავებდა: რიტმულ მოძრაობას, სენსიტივობას და იმპრივიზებულ მოძრაობებს. მის სხვა ქვეყნებში ბევრი მომდევარო მუყავა, მათ შორის რუსეთშიც: 1910 წელს პეტერბურგში ვაისნა ჩიტის პირველი ინსტიტუტი, იგი თავად მ. ვოლონსკიმ დაარსა. 50 წელს, რომდებამც ის ინსტიტუტი დაამთავრეს დაიწეს რიტმობის სწავლება ქალთა პანსიონატსა და მუსიკალურ სასწავლებლებში, მაგრამ მუნე მან ფართო გაქანება ვერ მპოვა.

ჩვენს ქვეყანაში რიტმული ტანვარჯიში სპორტის სრულიად ახალი სახეა. გამოთავალია მითერ ხანია, რაც ციხორებაში ადგილი დაიშკარდა, მაგრამ უდევია, რომ მისი აღდებითი თვისებები საქაოლ მყოფილად დადასტურებულ, რის მავალითადაც მოსკოვის ნავთობმითერი და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტებთან ჩატარებულ ექსპერიმენტის მავალი შედეგებია: იქნებოდა საქარხის. როგორც დაღვი-

ამბობენ: უღამაშო ქალები არ არსებობენო, არიან ქალები, რომდითაც არ სურთ ლამაზები იყვნენო, ქალის მომხიბვლელობის მთავარი პირობა, რაც უყოველგარ მოდისა და გემოვნებაზე მავლა ღვას, — განმრთელობაა. ენარი ტანი, მსუბუქი სიარული, ლამაზი თავდებერა, სახის სასიამოვნო ფერი, კარგი გუნება-განწყობილება — უყოველივე ეს შესაძლოა შეიძინოთ ფიჯიურ ვარჯიშის მეშვეობით.

„აერობიკა“ — რამდენი რამ არის ჩაკსივლი ამ ერთ სიტყვაში — სიღამაზე, სინატიფე, მხნეობა, სიარული. მას რიტმულ ტანვარჯიშსაც უწოდებენ, პოპობილსაც, დისკორობისაც, მომხიბვლელ, მუსიკალურ ტანვარჯიშსაც და საცეკაო თერაპიასაც. სპორტის ეს მიმზიდველი სახეობა მოდოლდ ლამაზ არსებიათა — ქალთა საქუთობაა.

„აერობიკა“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა „აერო“ — ჰაერის ნიშნავს. ამ ბოლო დარის პრეტის ფურცლებზე სწორად გავხვდებით აერობიკისადმი, ანუ რიტმული

ნდა, რიტმული ვარჯიშები აკრებს სხეულს. აწვითარებს სასრბებს, მოწინდებს ხდის ზერ-  
ნიხელს, ზევს მიზანმიზნის, ამაღლებს.  
წარმომსწარმანობის, აწვითარებს სხეულს და  
რითმის განძობის, კარგ ვუნერაზე აუწევს  
აღმაშინებს.

ვარჯიშის დროს სავარჯიშო ტანსაცმელი  
ძალზე რთული და მოჭრებულად უნდა  
იყოს, რათა ხელი არ შეეშალოს მოძრაო-  
ბას. ანთი სავარჯიშო კოსტუმმა მოქმედ  
შორტები და მისიურა, სპორტული და სა-  
ცუბაო კოსტუმი, თავსაკრავი, ბაბთა თმის  
დასამაგრებლად, მსუბუქი ტუყვის მუტები  
და (შეიღებო ვარჯიშის დროს შეიღებო)  
თავი და თავი რასაც ველოთ, ჰედილი, ნაქ-  
სივი აქტრებიანა, ისინი ზელს უწყობენ  
ქვეთა კიდურებში სისხლის შენარჩუნებას,  
რომელთა ვარჯიშის დროს დიდ დატვირთვ-  
ას განიცდიან.

რიტმული ტანვარჯიში ეს არის ვაშა-  
ქანსახებელი ფიზიკულური ერთობითი  
ფორმა, რომელიც დიდი ზერსაქვეთა აქვს.  
ქალები ხშირ არსობდეს ვულგარული არ  
ჩრებიან მუსიკისა და ცეკვების მიზარით,  
როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ერთ-  
თა წლის შემდეგ ის გავრცელები კი, სპორ-  
ტულად „უტრასტექტივობა“ ჩაგუს რომ  
განუყოფენგონდენ სარბილში, მუხის წორ-  
მებს ასრულებენ, მუხის თანაღლებით  
ერთი საათის | განუყოფელი მოძრაობა,  
ყოველი ილთის რამდენჯერმე ვარჯიშობა,  
ისეთვე ფიზიკული ვეჯეტა ქმნის,  
როგორც სარბილი, იმ განსხვავებით, რომ  
ამ დროს ქალები ეგრობიან და წაღებდა  
იღლებიან.

დღეს რიტმულ ტანვარჯიშზე ძალზე დი-  
დი მოზიზონიღებია, მერამ ზღობიღ არის  
წინააღმდეგობებიც. სავარჯიშო დარბაზები  
ზევრია, მერამ კოტა რიტმულ ტანვარ-  
ჯიშში მოველიანთა ჩაგულები. სპორტულ-  
ლის პროფესიონალ ფიზიკულტურისა და  
სპორტის ვაწყოფილებს დაგეგმილი აქვს  
უპოვებს ვადში განახორციელოს უმაღ-  
ლესი, სპეციალურ და საშუალო საწვავლ-  
ებებში, მხოვლი სავარჯიშობა და ფორი-  
კაქარბენში გამაქანსახებელი ჩაგულების  
განხი იმ ვარჯიშით, რომ რიტმული ტან-

ვარჯიშის მეცადინებთა ჩატარდეს უშუა-  
ლად მუშაობის, სწავლების ადგილზე.  
ყოველზე დიდი სიძველენი მინც იმ კიდურ-  
ბის, სპეციალისტების სისყარა, ვინც სათა-  
ვეში უნდა ჩაუღდეს ამ ჩაგუს.

სწორად ამოტომავე, სპორტულს სპორ-  
ტულ პროფესიონალ რესპუბლიკური საბჭოს სპე-  
ციალიზმმა მიიღო დადგენილება „რესპუბ-  
ლიკური რიტმული ტანვარჯიშის დანერგ-  
ვისა და შემდგომი განვითარების შესახებ“.  
ამ დადგენილების საფუძველზე პროფ-  
კავშირთა რესპუბლიკურ და საოღლო  
საბჭოებს, პროფკავშირთა დარგობრივ კო-  
სტეტებს, პროფკავშირთა ნებაყოფლობით  
სპორტული საწვავლებების საბჭოებს  
დავადლო ყოველმხრივი დახმარება იღ-  
მოწინონ სპორტულ ბაზებზე, ფიზიკულ-  
ტურულ კოლქტივებისა და სპორტულ კლუბ-  
ებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სწარ-  
მოქმედში, დასახვედრებულ სახლებსა და პე-  
ნიონატებში რიტმულ ტანვარჯიშის დანერ-  
გვისა და ორგანიზაციას. ჩეკოსლოვაკია ვა-  
წურონ, რათა რიტმული ტანვარჯიში მიწ-  
ნულად იქნას სავარჯიშო ვარჯიშად, შევი-  
დეს იგი წარმოადგობის ჩაგულები, სპორ-  
ტო ფიზიკური მოწვადების პროგრამაში.

ამ მიზარითიბით უკვე ვაწუებო ვარჯ-  
იველი მუშაობა. ახე, მაგალითად, იგინისში  
მოქმეო სენინარო რიტმულ ტანვარჯიშში  
ჩვენი მოსყველი მეგობრების დახმარებით,  
ჩვეტომებში კი სპორტულის პროფესიონ-  
ალთა თხოვნიტ კი თხოვნიტ ვიამაროება  
პირველი სავარჯიშო სენინარო რიტმულ  
ტანვარჯიშის საკოთხებზე, რომელზეც საწ-  
ვენებელ ვამოვლებს ჩატარებს ო. მ. გუ-  
ბაჩინის სახელობის მოსკოვის ნავთობტექ-  
ნიკური და ვაზის შრეველებების ინსტრუ-  
ტის ჩაგუთი. ამ ჩაგუთის ზელმორეხილი  
ფიზიკური აღზრდის კათედრის ცნობილი  
პედაგოგი ს. ვ. კარმინა, სწორედ ამ ჩაგუ-  
თს წარმოაჩინა. თავისი ზელგონება ფინეთ-  
ში.

„აერობიკა“ ზევრ რამეს მხატვრულ ტან  
ვარჯიშს დაესხება. ჩვენს რესპუბლიკას კი  
მხატვრულ ტანვარჯიშში კარგი ტრადიცი-  
ობა აქვს. განაშვილის, დღობის, ვეშო-  
ვინას, ჩვენე შეხანისშივე პედაგოგისა და

აღმწოდების ნ. სალდის ვამოღებია ვა-  
კოვანა, რაღა თქმა უნდა, ძალზე დაგვეზარ-  
და ამ საქმეში.

არის აგრეთვე აწიო შეიქმნეს ე. წ. „ნაე-  
რები“, რომელიც დროღადრო იმოგვაო-  
რების სპორტულის კლქტივებსა და რაიო-  
რებს ჩატარებელი ტანვარჯიშის მოქმედ-  
წილის მიზარით, ეს კი ზელს შეეწუროს, ისინი  
კი თხოვრისა და რესპუბლიკის სხვა  
მხხილ კლქტივებში აერობიკის განვითარე  
ხას.

ამ ჩაგუს მეგწურად სპორტის წამევიანი  
სპეციალისტებიც უნდა ვაგუყვნენ, ისინი  
ჩატარებელ ლექტორებს, საუბარებს ფიზიკური  
კულტურის უღებებს დაწინაღობების შესა-  
ხებ.

ა. ვ. იგინისში პროფესიონალ მღღობის  
სახხებში ჩატარდა პირველი დათავი-  
რება-კონკურსი, მოღლო ოქტომბერში ვა-  
წინრული ვეჯეტა ჩავატაროთ შეიქმნა რიტ-  
მული ტანვარჯიშო ფიზიკულტურულ კო-  
ლქტივებსა და უმაღლეს სასწავლებელთა  
შორის ფუნრად „სპორტულის კლბის“  
პროგრამა.

ვევლა ეს დონისობება სულ უღერო და  
უღერო შიტ ქალბიწვილსა და სხვა ასაკის  
ქალებ მოეწოდებს ფიზიკური კულტურისა  
და ვამაქანსადებელი სახეობის სისტემატი-  
კურ მეცადინეობაზე. ეს ოქნება წარმოე-  
ღობის, სინატიფის, სიმინევის შვეწვიერი  
საქარების ვასაღები ვევლა იმოვინო, ვინც  
სპორტთან მეგწობისა ვაღაწუებია.

და ბოღის, მინდა მოგეწოდოთ ვევლა,  
ვინც ვაღაწუებია რიტმულ ტანვარჯიშს  
დათუფლოს (რაღა თქმა უნდა ექვინის  
ნებარითიო), სპორტულის პროფესიონალის  
მღღობის სახხებში. აქ საუკეთესო  
პრობებზე ვეწვენაბი სანქციალიზმად.

სახხებში იმუშავებს მეიოღკაბინეტი,  
თვეში ერთხელ ჩატარდება კინოლექტო-  
რითი, ლექციები ფიზიკულტურულ-მასობ-  
რივ და სპორტულ-ვამაქანსადებელი მუშა-  
ობის შესახებ.

ქვირფისს ქალები, რიტმული ტანვარ-  
ჯიში, ეს უღამაზუნი სპორტი თქვინა სა-  
კუთრება!

გელღობელი მომავალ მეცადინებებზე





# სიმეორის სიყვარული

ნადედა ცომაის როცა ახსენებ, ვისაც კი მოუხსენია მისი ლამაზი და ძლიერი მეცოსოპანო, არ შეიძლება შეხსიერებაში არ გაუღვლოს და არ ააღვლოს წარსულის სახამაშო მოვლენებმა.

ბედნიერება ზღაღი იმ ადამიანი, ვინც თავის დროზე ტყებოდა მომღერლის მაღალი ხელოვნებით. ვინც მოისმინა მთელ რაგვი საოპერო პარტიების ნადედა ცომაის შესრულებით: „დარჯან ციხერი“ „დაისი“, „ლატავრა“, „ახეხალმა და ეთერი“, „კარმენი“, „ბორის გოდუნოვი“, „მანუა“, „ტრუბადურა“, „აიდა“ და სხვა. მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე ნადედამ 50 როლი შესრულა. იგი ბუნებით დაჩალოდებული იყო ფართო დიასპორის ლამაზი მშობი, მდიდარი ტემპით, ხოლო საშუალოდებული მანერა არტისტული და ემოციური მქონდა მთავარი მანც იყო მოსიერება. რომელსაც გულდრავდა ვერა-ვინ მოისმინდა. ამის გამო იყო, რომ საოპერო ხელოვნების დიდმა დარგებმა ვერც კი შეიძლება მას ლეგენდარული მხის პატრონი უწოდო, ხოლო სახელობველი ორგანიზტი ბრუნო მისი მხის მრავალფეროვან ელფას ორგანის მუსიკის ელფას ორგანა.

ჰაგრა ნადის ხასიერა გვა ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლიდან დაიწყო. მამით ადრე დაიბოლებულ ექვს წარღვრულ განსაკუთრებული მტარუნელობით ზრდიდა დედა. მას სიმღერა არ მანინა საშობალო სეროიზულ პროფესიად და ამიტომ ტყვე წამოიხიტილი დედა იძულებული იყო დიდის წყნად ცნობა მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც საყვარელი სიმღერის გავეციოდეს გულმოდგინედ და დიდი

სერიოზულობით ეუფლებოდა. რადესაც მოსწავლთა კონცერტის დღე დადგა, ნადედა ვითომ შემხვევით, კონცერტის მოსახმენად დედა პარტიში დასვა, თვითონ კი საღაღც გაუჩინარდა, ხოლო რამდენიმე წუთში სცენიდან დაუკრა თავი, როგორც მომღერალმა. ნადის მიერ შესრულებული უყოელი სიმღერა მსმენელთა ატაცებულ ტყვის გრიალით მოვარდებოდა. სიხარულის ცრემლებით დანაშულ დედის ხახზე ბუნდებრების დიმიო კროდა. იმ დღიდან დაელოცა ნადის დიდი ხელოვნებისაკენ მიზავალი გზა. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კარები გაიხსნა მისთვის. გამოცდილმა კომისიამ ერთხმად აღიარა მისი ძლიერი და ლამაზი მხა და იგი კონსერვატორიის მესამე კურსზე ჩარიცხეს. ნიჭიერი გოგონა ჩვეული ენერგიით და მონღომებით სწავლობს და იმსახურებს წარჩინებული სტუდენტის სტატუსს. პაროფესორმა ოლგა შულგინის მათვალაპირი ამაგი დახლო ახალგაზრდა მომღერლის ჩამოყალიბებას: ტექნიკისთან ერთად აზარა მუსიკალურ კულტურას, შესრულების ემოციურობას. ფრანს მუსიკალურ გააზრებას. ორი წლის მეცადინეობის შემდეგ ნადია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასში ჩარიცხეს. იგი იმ მოვადე როგორც მეცოსოპანოს პარტიების პირველი კართეფი შესრულებელი. ეს ის დრო იყო, როდესაც კართეფი ეროვნული საოპერო ხელოვნება ფორმის შიდა და ახალხალ ჩამოყალიბებას ადრედა. ქუდებედიანად უნდა ჩამოყალიბებული ნადის ოპერაში მოღვაწეობის პერიოდი, რადგან მანამდე საოპერო თეატრს ჰყავ

და რეისსორი ალექსანდრე წუწუნავა, დირიჟორები ევგენი მიქელაძე, ოდისეი დომიტრაილი. მომღერლების დიდებული პლუდა: ვეატბინე სოხაძე, ტაიხა შარატა-დოლიძე, ნადია ხარაძე, მერა ნაყაშიძე, ნინო ვალკო, ელისაბედ გოსტინია, სანდრო ინაშვილი, დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, გრიგოლ უნაძე, ნიკოლოზ ბელაქნელი, დავით ბაღრაძე, ნიკო ქუში-საშვილი, დიმიტრი მჭედელი, ბათუ კრავაშვილი, სანქტაკაუსის უსოოდ ბევრი მათურებელი ესწრებოდა. იყო იმეთიო ატმოსფერო. ამ ატმოსფეროს ქმნიდა ნიჭიერი შემოქმედებითი ძალების განუყოფლობა და მომღერალთა შემოქმედებითი სიხარულის განცდა. მათურებელთა მხურავული ინტერესი და სიყვარული ისე დიდ იყო, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას საწუცკარ მომღერალთა სურათები (მანან ისინი უხედა იბეჭდებოდა), როგორც წესი, საწივანებში და პალტოს ციხებში ჩაწობილი განუშორებლად თან დაქროდა.

ნადის მაღალ მონაცემებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1935 წელს კალფიციის ასამაღლებლად ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარგაწვნილთა შორის ახალგაზრდა მომღერალი განსაკუთრებით გამოირჩიეს. დირექტორმა მას ლენინგრადის საოპერო დასში დარჩენა შესთავაზა. წინდომარსევეაი მეთურება ნადია ლენინგრადის სცენაზე. სადაც წამყვან პარტიებს ასრულებდა და ღირსეულ პარტი-როლებს აუწედა ინტროდიულ გამოჩენილ მომღერლებს. გული კი მანც საშობალო-საკრე მოწვევად და დიდხანს აპარ დაუყოვნა. ისეც დაგრბუნდა თბილისის ფილიაში-ვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის



დედა-შვილი — მედეა ამირანაშვილი  
და მარინე ფარულავა

რიმსკი — კორნაკოვი „მეფის საცოდე“,  
ლუბაში — ნადედა ცოშაია



ბიზე „კარმენი“, კარმენი —  
ნადედა ცოშაია

სახელმწიფო თეატრს. დაობტებულ მო-  
მღერალი მთელი ინტრიგით და სიყვარუ-  
ლით ჩაება თეატრის მუშაობაში. იგი გახ-  
ლდათ იშვიათი შრომისმოყვარე და ჰქონდა  
საკუთარი ძაღლების რქმენა. მიზანი კი  
ყო — გამუდმებული სწრაფვა სრულყოფი-  
საკენ. ამით მოიპოვა მან დიდი აღიარება:  
საბჭოთა კავშირის სახალხო არტის-  
ტის წოდება, — შრომის წითელი დროშის  
ორდენი. 1960 წლიდან პენსიაზე გასვლის  
შემდეგაც არ შეუწყვეტია მუშაობა, კონ-  
სერვატორიაში პედაგოგობის ეწეოდა. მისი  
პირველი სტუდენტი იყო საკუთარი ქალი-  
შვილი მედეა პეტრეს ასული ამირანაშვი-  
ლი, დღეს საქვეყნოდ ცნობილი პოპულარ-  
ული მომღერალი, სრტე სახალხო არტის-  
ტი, ფილიაშვილის პრემიის ლაურეატი.  
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
პროფესორი. ტრადიცია გრძელდება. მედეა  
საკუთარ შემოქმედებით აღმავლობასთან  
ერთად თავისი ქალიშვილითაც ბედნიერია.  
მარინა ფარულავამ კონსერვატორიის ფორ-  
ტეპიანოს ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ  
სიმღერის სიყვარულს მაინც ვერ გაეცქერა და  
კვლავ აგრძელებს სწავლას, კონსერვატორი-  
ის ვოკალური განყოფილების მეტყუთე  
ეუბის სტუდენტია. უყვარს სიმღერა, ძა-  
ლიან უყვარს, ან კი როგორ უღალატოს  
ტრადიციას: ბაბუა გამოჩენილი მომ-  
ღერალი, სრტე სახალხო არტისტი, სახელ-  
მწიფო პრემიის ლაურეატი პეტრე ამირა-  
ნაშვილი, ბებია ნადია, დედა მედიკო-  
— სამი ტიტანი საოპერო ხელოვნებაში!  
ფესურვით მარინას სახელოვნოდ გაეგრძე-  
ლებინოს ნადია მიერ გაყვანილი გზა ხე-  
ლოვნებისაკენ.

# კვილი ახალი



## იუმორი

მხატვარი კარლო ფაქოლია

შოთა ძველი თბილისის მკვიდრი იყო და ახარება საშვილოშვილო წაშრუება — თბილისის აღორძინება. დასვენების დღეებში დაბოტება მის ქუჩებში და უნახავს არაფერს ტოვებდა. ამშვეერცხლილა ხაროცი წლის კაცი გულში გრამაშვილის დე-ქის სტრქინებს დაუსრულებლად დღი-ნებდა. „საქართველო ბებელია ბაქალღო და თბილისი შივ ჩასწული ბაბუშა!... სინარულისავან დაღლილი ხმარად სიონის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს შეისვენებდა, რომელთანაც ტკბილწარე მოგონება აკავშირებდა.

— ამ ადგომ მაშინ მტკერის ტალღები ლოკავდა, — იგონებდა შოთა. რცა აქ მოვდივარ, თვალებს ვხეუვად და წარმოვიდგენ იმ ღამაშ ექსპოზიციას, რომელიც წლების მანძილზე ლანდიეთ ამდევნებია...

შოთა მასწინ მოშობების ნებორი, დღის ერთა ბიჭი იყო. მამინდელი უმინოდ გაფლანგული დღეებისა და უტფირიის გახენებით გამოჩინდი სირცხვილის ოფლს დღეს იწუნებს და უბნობდა.

ზარმაევი იყო და დროის მოსაკლავად მიიღო დღე დაუბტებოდა, ღამაშ ქაღალდს დასცედა. ერთხელ, შემხებევი, სიონის ტაძარსაც შეეკადა. თვალს წალს დავაღეინებო. თვალს კი დააღვიანა წყალი, მაგრამ თვითონ შექურავალი და შერცხებინე-

და რომ დარჩა, სწორედ მისი დაწვენიება ვერ შესწლო.

ტაძარში ხალხმრავლობაა. მლოცველთა ბუტბუტი ფუტყრის ზუზუნითი გაისმის. დვითიმშობელ მარამის წინ ანთებულ სანთლებთან ქალი ლოცულობს. მოკლე სახელიან თფირ კაზაში გამოკვარულს ძლიერ შეენის თავზე შემოგრაჟნილი მსხვილი და შავი ნაწნავი; მოხუტებუტი ბავები-იდან გაუღებულნი ბროლითი ცხილებების მინაწარი სინათლის სიხვს ირეკლავს და შოთას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქმის ღამაში ტუჩებიდან ცეცხლს აფრქვევდეს. ქალს პროფილიდან შეტყურებს და მისა გრძელი წაწამები ხელს უშლის თვალბის ფერის ამოცნობაში. თავისებრი და მხტერის მოყვანილობა კარგი ხელოვანის ნახატს მიუზავს.

შოთამ ტაძარში ვაგფუთული სიმშვიდე არად ჩაავლო, ქალს ვაგფორილი ინდაური-ეთი გარშემო შემოუარა და უხამხად შეესცინა. ქალმა დიდრონი, თავლისფერი თვალბი რისხვით დააკეცა და მარჯვენა ხელი ისეთნარად შემართა პირჭერის გადასაწერად, რომ თავხელს დაენახა საქორწინო სამკაულები.

მაგრამ შოთა მაშინ იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვინც კორწინების სიწმინდეს პატივს სცემს. მლოცველთა ადგილებულდ შემზიხებამ

აიძულა კარისაკენ დაესია. იქვე საფეხურზე მქლამ მოწულელების მოხვედელ მოხუც კაცს მიუახლოვდა და ამობარუნებულ ქუდიში ხტრდა ფუღუბს თელა დაუწყო.

უმაღვე შენიწნა, ის თფირყარშიზი საროცრება უახლოვდებოდა; მოხუცს ათმანეთიანი ცხვირწინ აუფრიალა და უბჩანა, — დამლოციო! — მოხუცა ამოხტდა დიმილით:

— დამილოცინარა, შეილიო ღმერთმა გაშოროს ქალის შარა!

შოთამ იწუნა:

— შენ იტყვი, დალოცვა ვიციო, რაღა შემობარუნებულმა ქალს თვალი ჩაუტრა.

ეტყობა ქალის სულში ეშმაკმა გაიშლივინა, თოკზე გამოშმულითი ადვენებულ შოთას გადღამა და აქარდა. წაოამამებულ კაცი მანახლის ქუჩაზე ეტოშო შესულ ქალს მოუბატებულად შეუტევა. ქალმა ჩანთიდან გასაღები ამოიღო და ოთახში შევიდინდა. ამა მაშინ შოთა რას მიხედებოდა, რომ ის დიმიტი შურისძიების დომიო იყო.

„რა მადლი მოთვინირდაო!“, — გაიფიქრა და ქალს წაეტანა. ქალი ზრდილობიანად გაეცალა და სკაზეწ მიითითა, — დაჯექითო. მეორე ოთახში გვიდა, მერე უყავიფლებით მორთული ნაბითიდა და ოთახის ფილებტებით გამოცხვდა და მაკილის გაწყობა დაიწყო. ორი სულისათვის გაშლილ

სურათზე ველოაფირი ბლომად ელაგა. შოთამ, ის იყო, პირველი ნერწყვი გადაეღება და... ეროში კაცის ხმა გაისმა. ქალმა შემტრთალმა ჩაილაპარაკა:

— ჩემი ქმარია, მივლინებაში იყო და დღეს არ ველოდი. ორივეს დაგვხვდავს!

შოთა ოდნავ გაწეული ფარდიდან ხედავდა კაცს, რომელიც ეროში კუნტის ეთამაშებოდა და ეალერსებოდა. მის შეხედვაზე შვედრის ფერი დაეღო, რადგან წარმოსადგენ ვაჟაყის, ხალაოში კუნთები ამობურცოდა. მუხლებიკანკალებულმა შოთამ უხელოდ შეხედა ქალს, რომელმაც ტანსაცმლის კარადა გაუღო და ანიშნა, შიგ შექვერიო.

კარადის კარი კი ჩაუვტა და ქმარს გასძახა:

— ამირანი ხელები დაიბანე და შემოდი, შოთა!

შოთა მთელი სხეულით ცახცახებდა და ორად მოზარდმა ძლიერ მოახერხა კარის გასაღების ტრილიდან ცალთ თვლილი გაეხედა: ოთახში შემოსული ამირანი ცოლის გადახტემა, მერე ბავშვებით აიტატა, მაგიდასთან მიიყვანა და სკამზე დასვა. კორფა მწვანის მადიანად ახრამუნებდა ამირანი და დედალიც ხელით მიგლიჯ-მოგლიჯა. სახეს ჭიქა ასწია, ცოლს გაუცინა:

— ნაწული, ჩვენ გავეთმარკოს, ჩვენს მომავალ შვილს გაუმარკოს! — ნაწულიმ აქვში გამოჩნდნა და ქმარს გადაუტეხა:

— იცოდ, თუ მოიგებ, ბუმს გაგირინ. თუ მოვიგო, ჩვენს ალუჩას ჭოჩირში რომ შემორჩა, მომიკრფე. ამირანი გულთანად იცინოდა და ეკეთებოდა:

— ამბობდი, სამსახურიდან სიონში გამოვივლი და წმინდა მარამი მტეტვის, რაჲ მოვეციტებო.

— ვიყავი, მაგრამ ვინ გაცადა. ერთი უტოფარი დაწარაკი, ტაძარშივე ისე უხამსად შექცოვდა, რომ შერმცოდა და გამოკეცივი, მაგრამ ვერ ჩამოვიცილდი, სახლამდე მომეკვა. ქუჩაში არ მინდოდა აყალ-მყალის ატეხვა. უხმუროდ მოვიყვანე და კარადში შეყავს დამწუვდებულე. აი გასაღები, გამოიყვანე და ჭკუა ასწავლდი.

შოთა ისედაც მუშტის ტოლა გახდა შიშისგან, — თუ დამახველა ან დამაცემინა, გათავებულა ჩემი საქმეო, და ქალის სიტყვების მოსმენაზე ცოცხალმკვდარმა ჩაიკეცა.

— აიღოსტ! მიბრძანდი, ვევატონო, ალუჩის მოსაკრფად! — შესძახა ნაწულიმ და იატაკზე გაისმა გასაღების წყრიალი, ამირანმა ბუზღუნით გახურა კარი თუ არა, ნაწული დასწვდა გასაღებს და შოთა კარადიდან გამოთრია. უკან კარი გაუღო და პირდაპირ ქუჩაში უბიგა სცილილი:

— მამაკეთ, ემანვილო, უბრალოდ მინდოდა თქვენთვის ქალის შარიათობა შეენუნებინა, იქნებ ჭკუის სასწავლებლად გამოგადლოდ. ქმარს დღეატი კი არც შეგიტრია!

შოთა სამი ვაყის მამაა და შვილის — პაპა. მაგრამ ის ამბავი არ ავიწყდება.

## აკვავლა ნუში

წყაროს წყალივით საოცრად წმინდა. ფიჭვი გამძვლის ხანდახან გულში: მე იმნარი სიციოცხლე მინდა, თითქოს აუვადა უუცრად ნუში.

მე იმნარი წვიმები მიყვარს, თითქოს გაზაფხულის ჩამოსდის ცრემლი, თითქოს დამისხვრა ის პრისის ჭიქა, შენ რომ უუცრად შეახე ხელი.

მე ისეთ დღეზე ვოცნებობ მხოლოდ სხივს რომ ჩაიტანს დაღლილ სულამდე, და გამოჩნდება თავი და ბოლო ხიტადეკუელი ჩემი სურათის.

წყაროს წყალივით საოცრად წმინდა, ფიჭვი გამძვლის ხანდახან გულში. მე იმნარი სიციოცხლე მინდა, თითქოს აუვადა უუცრად ნუში.

## გაზაფხულის ნვიძეუი

ცა მოიქუერა, ჩამოწვა დაბლა, თანდათან ღრუბლებს გაუნდა მზარი, ეს გაზაფხულიც თავს მიკრავს მდებლად, წვიმის წყრიალა, თანებუა ზარი.

მიმატებია ვევაილი ვევაილს, როგორც იმედის შარცვალს — შარცვალე, შენ მოხვალ ჩემთან და გულზე გავლით ახალ ცრემლსა და ღიმილს მასწავლი.

## იპერაოი

ისევ ვევაძის ამავი სისხლის დამატარებელი შკაცი სურნელი, გადარწმუნა ნანერვი ვისისპირს, პატარა ღილე მზე და კუნელი. ცრემლი და სითბო დაღლილ სხეულზე, წარსულს და აწმყის თანაბრად გაეოთბოს და მზე ასული 'მოდო ნახუზე', საკუთარ სახეს დაეძებს თითქოს.



# მედიწეხი

შავდ შემოსილმა ქალმა რედაქციამი წეროლი გადმოვკვა, თან სველიანად დასკინა, ალბათ ჩემზე უფრო გამწარებული დედა თქვეთან არასოდეს მოსულაო.

რა ბედნიერი იყო მაინ, ცხრამეტი წლისა უკვე ქმარშვილიანი. ომის სპინელებამ, სხვა მილიონობით ადამიანთან ერთად, მასაც დაუნერია ცხოვრება. იმ დღიდან მოყოლებული, რამდენი გაჭირვება გადაიტანა უკმროდ დარჩენილმა ქალმა. მწეულია უსახლკაროა, შიმშილი, მაგრამ სულად არ დავცა, კეთილი ხალხის დახმარებით, პატიოსანი შრომით დახარდა შეიკლები.

თითქმის უკან დარჩა სიღუპიერ და ქვრივ-ობლივს მძიმე წლები. ბიჭმა უმაღლესი განათლება მიიღო და დიპლომურად ვკოოპ სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა, თანაც ხელმძრავე იყო, იყოფა: ქსოვა, კრევა, ცხობა. მანანს ლამაზი, ვეღალხასთვის სასურველი სარძლი ვახლდათ.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ქალიშვილის თვლი დადგა მისივე თანასოფლელებმა, მშობლებისხაგან განებიერებულმა ვაჟმა, რომელიც ვიღაცის გაუბატორების ფილოსოფის წინათ პასუხისგებამდე ყოფილა მიიქებული, მაგრამ შემდგომი მშობლების წყალობით თავი დაუხსნა, შემდეგ კი ცხოვრების დინებას ისევე ხელმეორული დე უსაქიერი გაქოლიდა.

ოთარი ლამის ახალგაზრდა იყო, თავისი გარეგნობითა და ტემპლი სიტყვებით მოხილდა მანანს. გულგებრეული ქალიშვილს გულწრფელად, მრამდ შეუკარდა ვაკე და, დედისა და ნათესავების სასტიკი წინააღმდეგობა არად ჩაავლო, ცოლად ვაკეც.

ორი შვილი შექმნიდა. ყველა მწეტროდა ოთარის ცოლ-შვილს. თვითონ კი საშინელი ეჭვიანი და უსახიათი გამოდგა. მანანს თუოლი სიტყვა აღიზიანებდა, მისი ვაკეობული არაფერი მოწონდა. სამუშაოდ არც ცოლს უშვებდა და თვითონაც წლებლის მანძილზე უმუშევარი დებეჭებოდა, თუ არას ვიტყვით შრომის წიგნაკში აღნიშ-

ნულ სამუშაო ადგილებზე, სადაც ტყუილად იყო ხოლმე გაფორმებული.

ბავშვები წამოიზარდნენ, უკვე მშობლების მეტი ზრუნვა სჭირდებოდათ, ოჯახი მოხუცი ბებიისა და პაპის გამოფაზე იმყოფებოდა. ორი მოზრდილი შვილის მამა კი, არარად თვლიდა საზრუნავს, - თითქმის თუოვლდე უფრონოდ მთვრალი მოდიოდა შინ, ხშირად სეკედა ცოლს...

ერსხელ, მანანას დედა ქთუვანი ქალიშვილის ოჯახს ეწეა. დედამთილ-მამამთილი ტელევიზორის უსდნენ, ერთობილენე. შერეო ოთახიდან კენსა მოისმა. ქთუვანის სწრაუდ წამოდგა, კარი შეაღო და ტახტე უღონოდ მიგდებელი, ნაცემი, თმაცწენილი ქალი დაინახა, რომელსაც მთვრალი ოთარი უღრუდებდა სეკემა. გამწარებული დედა დედამთილ-მამამთილს მივარდა, თქვენი თაღლიწ რბალს აწამებენ და ნერვი არ ვიტრკაოთ! ოთარის მშობლებმა აუღელვებლად უახსუსეს, ცოლ-ქმარი თვითონ მორიდლებიან არავის ჩარევა არაა საჭიროო.

მანანს ამჯერ იყო და ჩემად, ყველასაგან დოჯორულად იტინდა თუეველგავარ შეურაცხყოფის.

მანანს ოჯახური მდგომარეობა თანდათან ვარსულდა: რაიონიდან თბილისში გაწეოვიდა საცხოვრებლად, დედაისთან დახლდა. უწილი დედიმდ სოციალური თბილო ფინსული თბიხი შეიკლები.

დედა და დედა შექმლებისდ-ვგვარად ეწმარებოდნენ ხელმოკლე მანანას. მალე თვითონაც მუშაობა დაიწყო და მათგან მიწოდებულ ფულს აკონსებდა - ბავშვები უკვე დიდები არიან და მალე კიდევ მეტი დასჭირდებათ.

ბავშვულ ოთარი ცოლ-შვილის ბინაში მალეღად შევიდა, მანანას დანახვი ფული მოიტანა და წაიღო.

ბავშვებს შაბის დანახვა აღარ უწოდელი, ოთარის მშობლებიც მუდამ აურობიკებელი იყვნენ და თუეველიც ამას ხოლმე შევიცილავდა: დედა დასწეულდა, ლოინდ მავარდა. მანანას არ შეძლო უპატრონოდ და-

რჩენილი მოხუცებისათვის არ მივებდა, რადგან მათ ოთარის გარდა სხვა შვილი არა შეკადანი, შეგებულება აიღო და სოფელში დედამთილის მოსახლელად გაეშხაგარა.

მოხუცი მალე ვარდაიკავლა.

უსაქმურმა ოთარმა ჭკუა შაინე ვერა და ვერ ისწავლა, არ ასეწებდა ცოლ-შვილს, შინ უვარდებოდა, სეკემა, აწიოკებდა. დედამთილის გარდაცვალებიდან ხუთი თვეც არ იყო გასული, რომ მანანას სიტყვები დაეწყო. ბავშვებისა და ოჯახის მოვლით დატვირთულ ქალს გრიაბის ვაროულება ვერა...

დარჩნენ ობლად 13 წლის ვოვანა და 10 წლის ბიჭი. რაღა დარჩენოდა გამწარებულ დედას, უფრონოდ დაკარგული შვილის დარღს იბილი შელოშობის მოვლა-პატრონობით იჭირებდა. მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენი ხელადან გამოიკლეს.

ოთარმა მოყვალბულის დასაქრძალავი ხარჯები თავიდან აიღენდა და მოხუცი სიღდდის დააკისრა. (თვითონ მალე ცოლც შევირო), შერეო კი შუბის შვილიშვილები ჩამოაიღელა...

ახლა ბავშვებს ქთუვანიან მიხვლა აკრძალული აქეთ. ვამწარდა მოხუცი. თვითონ კი, ვითომდა არაფერაო, ლღად დაბიჯებს თბილისის ქუჩებში ცხვრის ტყაში გახვეული მგელი, არადა რამდენი თოვლა აწებს სიკრებზე: ომსხვარკლა დედა, მუღელს, დაბაბლად შევილენ... სიღდდის სიბერე გაუნწარა...

გარჩნებული იჯდა რედაქციამი შავდ-მოსილი მოხუცი ქალი, ხელი უცახახებდა და თითქმის წერილს ვეშობდა, წერილს, რომელშიც თვითონ ცხოვრების მძიმე ამბავი აღწევა და ერის იბიოვდა - სიძემ მამარის სიმწარე, შვილიშვილების წიღების მონატრული რად უნდა ვიყო.

და მართლაც, ვისა აქეს უღლებმა ამდენი მწუნარება მიავის ახლომლებს, ვრომანის დაიკილოს ბებია და შვილიშვილები!

წიგნი

# გამონათება XVII სსუკუნედას



ფომინისა ბარძმა

1775

საქვეყნოდ ცნობილი მისიონერი მხატვარი და ხელოვანი ქრისტეფორე დე კასტელი იტალიიდან საქართველოში 1688 წელს ჩამოვიდა. ერთხანს ქალაქ გორში მოღვაწეობდა, შემდეგ გურიაში გადავიდა. იქ კათალიკოს მალაქიას და გურიის მთავრის ბედლს შეწყობითა და მფარველობით ნაყოფიერ შემოქმედების მუშაობას ეწეოდა. მისიონერმა მხატვრულ ტილოზე გადაიტანა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, დაგვიტოვა გამოჩენილი პარაფრეზების პორტრეტები. მართო გურიაში კასტელმა დახატა მალაქია კათალიკოსის, ვახტანგ, სიმონ, მამია გურიელების, მისი ახლდის ელენეს, ბატონიშვილის ქალის კარანაცს (სახელი შეცვლილია), გურიელის ბატონიშვილი ქალის დარინას (ღამბა დარიახ, დარაკოს) და სხვათა სურათები.

კასტელი მკურნალი ექიმიც იყო, ხალხს დედ დახმარებას უწევდა. მისიონერმა გაიცნო გურიის თავადი დავით ბერიძე, დაუახლოვდა მის ოჯახს. თავიანთ მუშაობა ფომინისა განწყობილი, ქველმოქმედი და ნიჭიერი პოეტაც უყოფდა. კასტელი გაცირო ფომინისას პოეტურ შემოქმედებას. პატრი მისიონერი დავით ბერიძესთან წინადაც უყოფდა მარწველი. ის თურმე თავადს მკურნალიყო.

ფომინისა ბერიძე, ხაონოვითა და სიღაზითი აღსავსე ქალი, რომის მთავრის

მდივანი-წინებარეც უყოფდა. საქართველოში მეფესთან, დედოფალთან, მთავრებთან თუ თავადებთან უყვოდა მნიშვნელოვან მიმოქერას მისიონის სახელით ის აწარმოებდა.

მისიონერმა კასტელმა ამაგდარ მოღვაწე ქალს ფომინისა ბერიძეს ამაგა როდი დაუარგა, მისი მშენიერი სურათი დახატა, რომელსაჲ საქმაოდ ფართო და დღმწინაგნელოვანი წარწერა გაუყუთა. აი, ეს წარწერა:

„ეს ქალბატონი დედობას მიწევდა. ბერიძე მოწყალება მომცა. მრავალ შემთხვევაში შემეწყო ხელი. ჩვენი მწერალი იყო, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი წერილის მიწერა გვიწოდდა მეფესთან, დედოფალთან, აგრეთვე სხვათაჲც, სადაც წუალობით ეტყვიერობოდი. ამ ქალბატონის სახლში მოვინათლე ათი ზავშვი.“

ეთილშობილი გურიის თავადის მეუღლე პოეტის ფომინისა ბერიძე, დედად ნიჭიერი და ხაონოვითი სახელგანთქმული იყო.“

სახედავებოდ, პოეტის ქალის ფომინისა ბერიძის სურათი ეამთავლეს გადაურჩა მაგრამ მისმა ნაწარმოებებმა ჩვენიმდე ვერ მოაღწია.

ქრისტეფორე კასტელის სახელთან არის დავაფრებული მეორე ქართველი პოეტის და მხატვარი კალის როდია მიქელაძის მხატვრული ტილის შექმნა. სურათზე არსებულ წარწერა ვეგზმარება დაახლოებით მაინც დავადგინოთ მისი ვინაობა.

როდია მიქელაძე XVII საუკუნის ქართველი მხატვარი და პოეტია. ის მეუღლე: ვულაძე საჩალის მამუკა ბისკაია.

არის მოსაზრება, თითქმის რომის მისიონის ქრისტეფორე კასტელის თაონოვით გურიისა მხატვრო საწავლებელი დაურჩებოდა. როდია მიქელაძე სწორედ აქ სწავლობდა რატვის ხელოვნებას.

კასტელი დაახლოვება მამუკა ბისკაიას ოჯახს. თურმე მამუკა მკურნალიყო მტერ

მისი ოჯახი — ცოდ-ქმარა და ვეფხვილები ნოუნილოვას. კასტელი მიგვანიშნებს, რომ თავადი მამუკა ბისკაია ორმოცე მტერ ხოლმის ბატონ-პატრონია თავისი უმტბათო. კავკასიაში ეს ოჯახი თოვლისა და უინულის საწეულობი (მთიანი სამწარედლო) ცხოვრობო.

კასტელმა მამუკა ბისკაიას ხაონო მეუღლე როდია მიქელაძე მისივე ოჯახში გაიცნო (ხაონტერხისა იურიდიული თვალსაზრისითაც; XVII საუკუნის საქართველოში ცოლი ქმრის გვარზე კი არა, თავისი ქალშვილითის გვარზე იწერებოდა).

როდია მიქელაძეს კასტელისთავის თავისი მხატვრული ტილოები და პოეტური ნაწარმოებები უჩვენებოდა. როდის სიმღერითაც გამოუჩენია თავი, რითაც მისიონერი ერთობ აღფრთოვანებულა.

კასტელმა მხატვრისა და პოეტის ქალის როდია მიქელაძის მშენიერი სურათი შექმნა და თანაც მეტად მნიშვნელოვანი წარწერა დაურთო: „ეს ქალბატონი ავაღმყოფ ქმართან ერთად მოინათლო. მისი ქმარი სახელად მამუკა ბისკაია ორი პატარა ვაჟით და ორმოცე მტერი სოფლის უმით. ესენი კავკასიაში მტბოვრებნი არიან, სადაც თოვლი და უინულისა მტბოვრებულა.“

უკეთილშობილესი ქართველი ქალი მამუკა ბისკაიას მეუღლე როდია მიქელაძის ნიჭიერი, უმაღლესი საბორობისა და პატრონისი უყოფიკვეთი შემოქმედი მხატვარი ქალია, უმაღლეს მთებში მტბოვრები, რომელსაც კავკასია ეწოდებოდა. ჩვენი პატრების მოწეუც, ეს მხატვარი ქალი სხვა საქმეებს ნიჭიერი.“

ჩვენიმდე მოაღწია როდია მიქელაძის კასტელისხეულსა სურათმა, მაგრამ, საწეუს როდ, ვერ მოაღწია მისმა მხატვრულმა ტილოებმა და პოეტურმა შემოქმედებამ.

კ. მადარის სს. სს. სს.  
საქართველოს ენობათმცოდნეობის  
ინსტიტუტი

მ. იაკობაშვილის ფოტო.



ჭუთაისის ს. ოჯონიძის სახელობის  
საჯგეროლო ქარნის კობულეთის  
პიონერთა ბანაკი „კოლხეთი“



# ქსოვა

ზოგიერთი დეტალის მოსაქოვად საპირია დამუშავებული კლების და მატების წესებს.





როცა დეტალის მოსაქოვად თანდათანობით კლება საპირიო, მაშინ რიგის ბოლოს ორი თვალი ერთ თვალში გამოგვყავს (სურათი I). რიგის დასაწყისში კი მივმართავთ დამთავრების წესს: პირველ თვალს მოუქსოვლად გადავიდებთ, მეორეს გამოვქსოვთ და პირველს გადავიყვანოთ (იხ. II გაკეთილი). ამ წესს მივმართავთ მაშინაც, როცა რამდენიმე თვალი გვქვავს მოსაკლები. (სურათი II).

მატების დროს, თუ საპირიოა თანდათანობით მატება, რიგის დაწყებისას თავისუფალ ჩხირს გამოვიდებთ ძაუს და პირველ თვალს გამოვიქსოვთ (სურათი III) ან რიგის ბოლოს ავკრეთთ ერთ თვალს და ახალი რიგის დაწყებისას გამოვიქსოვლად გადავიდებთ თავისუფალ ჩხირზე. ამ წესს ვიყენებთ მაშინაც, როდესაც დეტალი მოითხოვს რამდენიმე თვალს მომატებას (სურათი IV).

სწორად დეტალი საპირიოებს თვლის მომატებას და მოკლებას ნაქსოვის შუა ნაწილში. — მოკლებისას ორი თვალი ერთ თვალში გამოგვყავს, მომატებისას (ასეთ თვალს ნამატს ვუწოდებთ) სხვადასხვა წესს მივმართავთ.

იმ თვალთან, სადაც ნამატი უნდა გააკეთოთ, ჩვეულებრივად გადავიდებთ ძაუს გამოქსოვილ და გამოსაქსოვ თვალს შორის (სურათი V) და უკუღმოდან გამოვიქსოვთ, ნაუშის („უწორი“) მიხედვით ასეთი წესით ხდება ღია ნამატის მიღება, რომელიც სხვადასხვა აუზრულ ნაუშის მიღების საშუალებას გვაძლევს. ან იმ, სადაც ნამატი უნდა გააკეთოთ, გამოვიყენოთ თვლის აკრფის წესი (სურათი VI); მივიდებთ დაზურულ ნამატს.

ლამბარა ვიკუა



# პარიზელი ქართველი ქალი



ახლან თბილისში მცხოვრებმა თამარ ვლადიმერის ასულმა ქაქავაძემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეცობრობის მუზეუმის დირექციისაგან მაძღობის ბარათი მიიღო. ბარათში ვკითხულობთ: „სატიცდელი თამარ ხალხთა მეცობრობის მუზეუმის დირექცია უდრებს მაძღობას გთვლით ხაზა აბდულის ნაშრომის გადმოცემისათვის. ეს წიგნები თვალსაჩინო ადგილს დაიკავს მუზეუმის ექსპოზიციოში, ხელს შეუწყობს უახასური ენის სპეციალისტებს, მათ უხვ მასალას მისცემს მეცნიერული მოღვაწეობისათვის. სატიცდელით, ხალხთა მეცობრობის მუზეუმის დირექტორი, ბ. ბაღრაშვილი“.

ქალბატონ თამარ მარტო მეცობრობა კი არა, და-მშურე ურთიერთობა ახლობებს ხაზა აბდულისთან და თბილისში, საკუთარ ოჯახში მუდამ ვულთბლად იღებს ცნობილ უახს პოეტს. ხაზა აბდული უახსეთის ენო-ტორი პოპულარული პოეტია. მან განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მიიპოვა მაშინ, როცა იცხადებოდა წილის ნაყოფიერი შრომის შემდეგ თავის მკითხველებს მაშინდა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უახსური თარგმანი.

თუ რა დიდი მიწოდებითა და გაცაცებით მუშაობდა ბ. აბდულინი რუსთაველის უცდავი მსახურების თარგმნის დროს, ამის დასტურია ხაზა აბდული წილის შედგენილი შედეგ მორჩილი წიგნი, რომელიც წიგნწარმედმა ნაქაქავა თავისი პოეტური ნაბე, ცოდნა, უნარი და შესაძლებლობა. მან ეს თარგმნილი, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ უახსურად სრულყოფილ სახეს მიიღებდა, გადახდა თამარ ქაქავაძეს და დაავალა, მიეცა იმ

ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისათვის, სადაც მას შეინახადნენ და გამოეყენადნენ. ასეთ ორგანიზაციად თამარმა ხალხთა მეცობრობის მუზეუმი სცნო და მაძღობაც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, იმ წიგნების გადაღების გამო ხვდა წილად.

თამარ ქაქავაძე თავის ავტობიოგრაფიას უყვებოდა ასე იწუხებს: იდვიბად ქ. პარიზში 1920 წელს. იქვე გავატარე ბავშვობას და ახალგაზრდობის წლები. დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და დავეუფლები დავინს ტექნოლოგიის პროფესიას. 1974 წელს გამოვეგზავრე საქართველოში და აქვე დავიქადა. ვმუშაობდი ქვე დღის პირველ ქარხანაში ტექნოლოგად, შემდეგ კი ამავე თანამდებობაზე გადავიდი დავინს შინამე ქარხანაში...“ მაგრამ სჯობს უფრო ზოგადან ვაწარმოო:

თამარის მამამ, ვლადიმერ ქაქავაძემ, 1909 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი და მაშინვე კავშირდებოდა ახალგაზრდობად საფრანგეთში ვაჭარს. ვლადიმერ პარიზში დაოჯახდა. იქორწინა იქ მსოფრთხი ნინო გრიგოლის ასულ ბაგრაშვილს. ქორწინება საზომო ვიზიტებში აღინიშნა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. ბედნიერი წყვილი ცხოვრობდა წმინდა კატრიკის ქუჩაზე, ლუვრის სახელგანთქმული მუზეუმის მეზობლად, მშვენიერ სახალხუში. ვან ქაქავაძე მუშაობდა პარიზში, შინა-და საქონლა სამინისტროში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა თურქეთში, გერმანიაში, ბელგიაში, მოლანიაში და სხვა ქვეყნებში. ზოგჯერ მას ცოლ-შვილიც თან მიჰყავდა.

ნინო ბაგრატიონი ფიციკოსი იყო და წლების განმავლობაში მუშაობდა ცენტრალური ლაბორატორიაში გამოჩენილ ფიციკოსებთან — სიურბთან ერთად.

ოჯახის ეკლავაჟე დიდი სიხარული შევიდები გახლდათ, თამარი და დევიანი, მართალია, ფრანგულ ენაზე სწავლობდნენ, მაგრამ შინ ქართულად იზრდებოდნენ. შობილები პატარებს საქართველოსა და ქართველებს სიყვარულს უნერგავდნენ და იცნებდნენ თვითონ შობილთურ მუხრანსა და ცვარებს იმემატებლებოდნენ.

1921 წლიდან ქაქავაძეების ოჯახს განსაკუთრებით დაუახლოვდა დიდი ილიას ურთავლები მეგობარი, გამოჩენილი ისტორიკოსი ეკვიმე თაყაიშვილი, რომელიც

ფარვანახავით თავს ცვლებოდა პარიზში ჩატნილ ქართულ განს და ხშირად უძღლო დამებებ გამოეულა მისი დაცვის დროს. იამარის მამა დევიან ქაქავაძე დავაქადე შევიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში და მარქსისტულ პროპაგანდას იწეოდა ფრანგ შრომელებში. სამწუხაროდ, ლონდონში ყოფნის დროს, ინგლისელმა ლეიბორისტებმა ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბედმა თუ გარემოებამ თამარს შვილი არ მისცა, მაგრამ ამ ეთილშობილმა პარიზელმა ქართველმა ქალმა ბევრ პატარას გაუჩინა დედობა, აღზარდა და სწორ გზაზე დააყენა. საშუალო ტანის, გამხდარი, ცოცხალი, ცესტოლოგიკალითა თამარი ყოველთვის ელვანატურად გამოიყვებოდა, ხშირად იღებს სტუმარს, გადილობა ეცხება და თითქმის ყველას სათუთად უნაწილებს გულის სიბინა.

წლების განმავლობაში თამარ ქაქავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილ პოეტებთან: ვალდარბიანთან, გოგლასთან, იოსებ ნინეშვილთან... ვინ მოვიდეს, რამდენჯერ შესვიდა მათ და გატაცებით უსუბარბა პარიზში ქართველთა სათიბტომის შესახებ. რუსი პოეტებიდან თამარი მეგობრობდა ცხვენი ევტუშენკოსა და ევგენი დოლმალტოვს, დროდდარი ზვებოდა მეგობარ პოეტს ალექსანდრე უსტუხეს. თითქმის დედაშვილური ურთიერთობა იგრძობდა თამარისა და ცნობილ ბლორის პოეტ ნიკოლა გროდენის ახლობლობაში. გროდენიყო ყოველ თავის წერილში თამარს უსუბარბეს დედად ეძახდა და მის მიერ მიღწენილი წიგნების ატჯარაფულ მინაწერებშიც დღევანდელი ეთილშობილური გრძობდა.

თამარ ქაქავაძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ილია ქაქავაძის მუშეულის მიმართ. იგი ბრძენ ილიას თავის სახელოვან წინაპარად თვლის და ეს მართლაც ასეა: თამარის პაპი არაღილი ილია ქაქავაძის მამის გრიგოლის ბაძაშვილი იყო და შობილების ნააშობი დღე წინააზრდა მუდამ ეთილშობილური.

თამარი კარგად იცნობს ილია ქაქავაძის თბილისის, საგურამოს და ყვარლის მუზეუმების ექსპოზიციებს და დროდდარი ეთილშობილა მუზეუმის მუშაკებს, თუ როგორ შეიძლება უფრო გამოიდგინოს და სრულყოფილად გახდეს ეს თუ ის თემი. თამარის ბუბიას (მამის დედას) ბავიკა-

ძის ქალს, ბევრი რამ ჰქონდა ილიახეული დანატვარი, რომელსაც სიცილივლედ სათუთა ეძვოდა. მისი სიყვადლის შემდეგ ილიახეული ნივთები თამარის ხელში გადავიდა და არც მას დაუტოვა უფრადღება: პატყველმა თამარმა, უფრადღებამ, ი. კავკეჰაიას სახელმწიფო მუზეუმის გაიასცა ილიას ნაქონი ვიქტორის კოვჩემ, ილია კავკეჰაიას საგურამოს ხაშლ-მუზეუმში თამარისაგან მიიღო ილიას ახლობლების რამდენიმე სურათი (ფედია!), მწერლის მეუღლის ილია გურამიშვილის კუთხები, ქალაქნები, რომელსაც ილია სანადიროდ წახვლის ღრის იცყამდა. თამარს მოწონებულა აქვს რამდენიმე ნივთი ილიას თიბილისს სახლ-

მუზეუმისათვის გადასაცემად. თ. კავკეჰაემ დროდარო ხვდეს ილიას მეგობრების შოთამოშავის და დანიტრესებულა, სადმე მიაკვლის უკდავი მწერლის რამე დანატვარ ნივთს, აუცილებლად შეინიშნოს და შემდეგ ილიას რომელიმე მუზეუმის კუთვნილება გახადოს. მუზეუმის მუშაყები თამარის გულახსნიერებას დიდად აყაბებენ და მას საყვარელ მწრუველად თვლიან. ერსებულ ვიდაც უხიამეა, რომელსაც თამარის კონების ნაწილს ხელში ჩაგდება დანიტრესებდა, მიწანაცარებულმა კვირყისა და უფვილო თ. კავკეჰაემეს ასე უთბრა: „უბატრონო ხარ, საიდანდაც გადმოხვეწილო, უპატრონოდვე მოკვდები. შე უბედროლო!“

თამარს არ დაუფრენება აასუხი: „მე არც უფრედო ვარ და არც უბატრონო, სხვა რამ არა, მარტო ილიას მუზეუმის პატრონობაც მიყვოა.“  
ილიას ილიას მუზეუმები ვალში არიან ქალბატონ თამარის წინაშე და თუ გვეჭირება, უფრადღებოდ არ დატოვებენ, პატრონობას გამოქვეყნ. პარტული ქართული ქალი უოუღდ მოიქცის იმ ნაამაგარს, რასაც მან თავისი შინაარსისი ცხოვრება მოწონება.

**შალვა მარტოზაშვილი,**  
ილია კავკეჰაიას საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# ნინო ალაქსი-მესხიშვილი

მისის ერთ უწყინარ ღდეს, საქართვლოლს თეატრალური საზოგადოებამ მღუმარედ თვდახართიო შეუყვოა აღმართის ჭანაშაის ჭურჩიდან ძვილი ვერის სასაფლაომდე.

მუშის კუბოში იცენვა მსახიობი ქალი ნინო ალაქსი-მესხიშვილი.

გონიერ მსახიობ ქალს საოცარი ბედი არგუნა განგებამ: ბედი ეწია და გახდა მეუღლე და უახლოესი მეგობარი მუშებერაში აკაცი ხორავასი; მთელი ცხოვრება უჩუმრად ატარა ეს „მძიმე ჭვარი“, თვითვე ისურვა ასე, ისურვა მუღამ ჩრდილში მდგარიყო, ოღონდაც კმარი ენახა მწეუმისხლი.

შე კი უხვად ათბობდა მის თანამეცნედრებს, მოხეთქილი ტალანტით დაამხებერა აკაცი ხორავამ თეატრალური ნიღბების „მოციწარის“ და „მოტიაროლ“ სტანდარტები. მისმა წარმატებამ გადალახა სულიერი და ფიზიკური საზღვრები... და უყვალგან, ყოველთვის მის გვირდით მოკრძალებული იდგა ქანი ნინო, უდიდესი ტაქტითა და მოთმინების უნარით დაჯილდოებულყო, სიკეთით პატივს, დიდებულ მესხიშვილთა სარდალისი შთამომავალი.

რა არ შეეძლო მას? არც ნიჭიერება აკლდა, არც განათლება, და რომ მოესურვებინა, ვინ დაუშლიდა თავისი ყოვლისშემძლე ქმრის დიდება საკუთარი წარმატებისთვის გამოეყენებინა?

არ იკადრა ეს ქ-ნმა ნინომ. ინტელემარ არც აკაცი ხორავა დახილდა... მისი კერძო ქართვლმა დახლბმა მთაწმინდის მიწას მიბარა.

ნინო კი მის გვერდით ვერ დავმარხეთ, ვითვისაც ყოველი პირადული ჩაიხშო.

უცნაური ბედი არგუნა განგებამ



ამ ქალს.  
როცა აკაცი ხორავას ჰკითხეს, ვის თვლით თქვენს ღირსებულ თანამედროვედ, მან უპასუხა: ჩემს მეუღლეს, ნინო ალაქსი-მესხიშვილს: ის კი მოკრძალებულად გაეგარა საწუთროს.

...სასაფლაოზე ყველგან სიჩუმეა,

ძველ სასაფლაოზე კი ასამეი სიჩუმეა. ვაგრ, უკვე რამდენიმე ათეული წელია, მღუმარედ დგას ჭადრის ხეები მათი პაწია მექვიდრის საფლაოან. დღეს კი ახორადუნენ, თავი დაუტარეს, ყრმა ბიჭის მოხუც დედას.

სიტყვებზე თქვა, გულიდან ამოტანილი, მართალი, ცრემლიანი სიტყვები, ყველას უნდოდა რაღაც თქვა.

შეე მოიღუმა, ჰადარმა დაკეცა მწეანე წამწამები, წამი დააქურბა მსახიობის ნეშტს.

მღუმარედ დავეწიოთ თავდაღმართე, უკან მოგვედგა საფლაგს მიყროლი ქვების შავაბუტი.

უცნაური ბედი არგუნა განგებამ ამ ქალს. მისს დაკრძალვა არ ჰგავდა მსახიობის წარწეიშით დაკრძალვას, იცა მიწვე მსახიობის დაკრძალვას, დო, კარგი მსახიობისა, კარგი ადამიანისა, კარგი მოქალაქის ტყვილიანი, მსახივრ წყარო და მოკრძალებული დაკრძალვა.

ნინო მესხიშვილი მრწყენივადე სახითო მსახიობი გახლდათ. დაუციწყარბა მისი მარკოზა დე მონტეგორიო (ღმწანუასა და დენტრის „ღონ სეზარ დე ბაწანი“), ანცი სერტოლინი და მადამ ფონტენი (გოლოდონის „ორი ბატონის მსახური“ და „სასატარძლო აფიშიტი“), გრაფის კვირვი (ს. კლდარეშვილის „პარავის ქვირვი“). აქტიორული მრეაღფეროვნებით გამოირჩეოდა მის მიერ ანაონიშვილას (მ. გორკის „ავასა ეფელწოვა“), სალის (მ. ღაგერნივიას „ამირიკის ხმა“), კაშკადაშვილის (ა. პოპოვის „ოქობია“, ფანა ბარბეის (შლავიანის „ინტერვიენცია“) როლებების შესრულება.

ელენე სპჰარელიძე  
რეჰსულიობის დამსაზრებული არტისტი.

# შატალი



უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ არაერთი ძეგლი, შრომატევადი და მტკაფი ხაჭაპო ღონისძიება განახორციელეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა თუ კულტურული ცხოვრების აღორძინებისთვის, რომელთა შორის ერთერთი მტკაფი მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საქართველოს მთიანეთის იმ სოფლებს ხელახალ აღდგენასა და განვითარებას, რომლებიც წლების განმავლობაში მოდიანად ან ნაწილობრივ დაიცავდა მოსახლეობისგან, ჩაქრა მამაპაპური ცერხები და თითქმის ნასოფლარებად გადაიქცა.

ერთერთი უპირველესობაა, რომლის ხელახალი აღორძინებაც დაიწყო, არის ცნობილი მთის სოფელი პირველი ხევისურეთში — შატალი (დუშეთის რაიონი).

უკანასკნელი უღელტეხილის ჩრდილოეთი ფერდობზე, მდინარე ახლდრისა და შატალი-წყლის მნიშავებზე აღმართულ კლდეზე, არაივის ბუდეებით ცაფ ატურცინოლა სოფელი შატალი წარმოადგენს ამჟამინდელი საქართველოს მთიანეთის ხალხური ხერტიმონძეების მრავალ ძეგლს. დავის-ჭაგის, უღელტეხილისა და კველეთის გადალახვის შემდეგ შატლის დიდებულ კომპლექსს საცერხებად აღმართება მშენებლის წინაშე. შატლი მთიანეთის მრავალ ძეგლი და ციხე-სახლია ხევისურეთში, რომელიც დღემდე გრძელდის ისტორიულად საქართველოს ჩრდილოეთ მისადგომებს იცავდა.

შატალში ბუნებრივ პირობებთან შეხებად ციხე-სახლები ტერცხებად იყო განლაგებული მთელ სიმაღლეზე, სადაც ყველაფერი უმოპირესად თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა.

შატლის უძველესი, მთავარი ნაწილი განაშენიანებულია კლდეზე კონცხზე, რომელიც წინაწარმოებულია სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, იქ, სადაც მთის ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის. როგორც მკვლევარები ვხვდებით დღემდე აღნიშნავდა, შატლის განაშენიანების ძირითადი თავდაპირველი ნაწილი, რელიეფის შესაბამისად, ხასიათდება შერბილია მჭიდრო შეფუთვითა და საფუძვრითაა განლაგებით. განაშენიანების სიმჭიდროვე უმოპირესად განიხილებული უნდა ყოფილიყო განაშენიებული ფართობის სიმატით და კომპლექსური თავდაცვის საპირიობის, სოფელი შედგება ძირითადი ქვითარების (ციხე-სახლების) და კომპლექსური ხანაში შენობებისგან. რამდენიმე პირამიდული ან წვერობოლი კომპლექსი გამოირჩევა კუბით, მკაფური, მტკაფიდე შეკრული ანაშახლის დასამახორცებელი ხიდეებს მაღალი, მონუმენტური საცხოვრებელი კომპლექსების, რომელთა შორის ბუთისათვის მისადგომის სახეობის სახეობით აგებული კომპლექსების უწყვეტი განაშენიანებაა გამაგრებული. აქ იწყებოდა ვიწრო ქაბუდე. ვა შენობებს შორის ხეველებსა პიემართება სულ ზეგონ სოფლის ჩრდილო კიდემდე. შავ სოფელში ვიწრო ქუჩა-გასასვლელიებს თავზე მოწყობილი იყო ძეგლებისგან შედგენილი ფიცარნავი — გადასასვლები, რომლებიც უზუსტოდ ავადიზირებდა მეზობელ შენობების ზემოთა სადგომებს, ეს დაბლებითი საშუალება იყო იმისათვის, რომ მტკის მოსაღონდელი თავდასხმის შემთხვევაში შესაძლებელი შეესტევიდათ შატალი-ონის უფრო ციხე-სოფლის შემოღობვა.

როგორც აღინიშნა, სოფლის ნაგებობათა ძირითადი ელემენტებს ციხე-სახლი და კომპლექსი საცხოვრებელი წარმოადგენდა, უკანასკნელი ვერცაქალბედ უფრო განვითარებული მიცულობით, ამასთანავე, ზშირად დაფარავნიებული სალოდებები.

შატლის ციხე-სახლების გეგმის მოხაზულობა კვდრატის ან სწორკუთხედს უფროდებდა, რომელიც მოქცეულია გომური, საცხოვრებელი ფართი და სათავდაცო საართული, სართულთა ჩაოდენინა შატლის ციხე-სახლებში სამიდან ბუთამდე აღწევს. ბუთისათვის ციხე-სახლში პირველ სართულზე გომურია, მეორეში საცხარეა. მე-სამეში და მეოთხეში საცხოვრებელი, ხოლო უკანასკნელი სართული სათავდაცო დაწინაშეულებია და მას „ზეგანსევილი“ ეწოდება.

სართული, რომელიც საცხოვრებელ დასს გამოუყენებელი, ერთმან დაუწარმებულ სადგომს წარმოადგენს, რომლის ფართი ზშირ შემთხვევაში 50 კვ მეტრს აჭარბებს.

საცხოვრებელ სართულში მოწყობილია კერა, სადაც თამოყრბილია ოქანის უფროსის სავარცხელი, ვრცელი ზურგიათა სკამი სხვადასხვა ფორმის კილიანო, ავენი, როგორც წინა გეომეტრიული კაბის ხის მუქერობებისაა შექმნილი. ბუნე სათვის ის ნიშნუში გვიხილავს შესრულების მაღალი დონი და ემოციურობი.

ოთახის დაწარჩენი ნაწილი სხვადასხვა საოქამო კურტულელობას უკავია.

კერის აწეობი კერის კუბები ხანძრისგან თავიდან აცილების მიზნით დატულია ფიქალის დიდი ფენით, რომელსაც „სახლის“ უწოდებენ. სართულები შეინიდან აცაფე შეირებულია კიბით, რომელიც ოთახის კუბისთან კერში გაჭრილ ახაბრმ ხერხელებზეა მიდგებული, სათავდაცო სარტულში ოთახსავე კედელში სათოფურები: მოწყობილი. ამ სადგომს ზაფხულობით დასაძინებლადაც გამოიყენებდნენ.

შატლის ციხის დაშლათათელი იყო საზოგადო თამოყრბის ადგილი — საფეხნი. ეს იყო კვა-კორისა და ფიქალის მშაღლი წყობით ნაწინა წინიდან განსხვავებული მოწყობილი ქვის საქოღობით და მანაკიებისათვის მსუბუქი სახელსაქმო მინერატობი.

შატლის საფეხნის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო სოფლის მამაკაცთა ყველაფერი მოქცეობის ადგილი, სადაც განსაკუთრებით კინა-უქმში ხალხი გამოუღვევლად იხსნა... განსაკუთრებული რილითა და პატრიარქული სარტეგლობდნენ აქ თავიკება, განკმულნი თავისი ცოდნით, კურბი, ვაოდლებით, ვაკაცობით და მეტრტეველებით. საფეხნიში შეკრებილი მამაკაცთა ერთმანეთს უზარებდა ახალ ამბებს, მეზობელ ახლდაზრებებს — ქუჩარქმასა და სხვარტებს, აქ მოხუცი ახალგაზრდებს ვარდასულ დროთა ამბებს, ვამოთა სიყვანი და წინასართა ვირობისა და თავდადებაზე უყუებოდნენ, საფეხნი თავისებურად ხეოდნენ აყო ხევისური ახლდაზრდობისათვის, რომელიც მოკლებული იყო სწავლა-განათლების საშუალებას.

შატლის ბურთომბიძრულ კომპლექსში შევის ვაჭრულე ძირითადი ნაწილები დაწინაშეული სალოცავ-სახატებში, საშურენ დაწინაშეულების ნაგებობები, სასაფლაო და სხვა, რომლებიც ვარკაცული როლს ასრულებდნენ ძეგლი შატლის სრულყოფილად და მოღანონობა აღქმისათვის.

# სანმგლები

## ტყეპლის სანმგლის მომზადება

შწივე, საღი ტყეპლი გარეცხეთ და დაღვით მოსახარმად. დაახსით წყალი იმდენი რომ შეარადვს. ხარშეთ 15 წუთი. შემდეგ გადმოღვით, გააგრილეთ და გაატარეთ საცერში. საცერში გაატარებული ტყეპლი მოაიახვეთ თიხის ან მომინანქრებულ ჰერმეტიკში და გახსენით თავისი ნახარშით. შემდეგ შეზავეთ დაკეპილი ნივრით, ახალი ქინძით, კამით, ოხრახუმი, მწვანე წიწკით, მწვანე ხახვით და მარილით.

ტყეპალი 1 კგ, წყალი 1კგ, ნიორი 20 გრ, მწვანე ხახვი 50 გრ, მწვანილი 25 გრ, მარილი 10 გრ.

## შინდის სანმგლის მომზადება

შინდის სანმგლის მოსამზადებლად შეარჩიეთ შწივე შინდი, გაატარეთ საცერში, გახსენით აფუღებულ ძმარნარკვი წყლით მოპირ სიქემდე, შეანდვით მარილით, შაქრით, ხმელი ხუნელით, დაკეპილი ახალი კამით და ქინძით. შეიძლება მიემატოს წმინდა დაკეპილი ახალი ან ხმელი ტარხუნა.

შინდი 1 კგ, მწვანილი 25 გრ, ხმელი სურნალი 5 გრ, ტარხუნა 5 გრ, მარილი 5 გრ, შაქარი 10 გრ.

## წითელი კონახურის სანმგელი

კონახური გაარჩიეთ, მოამირეთ ურწმუნო, გარეცხეთ ცივ წყალში და დალაგეთ; გადართეთ წყალი და გაატარეთ საცერში. შემდეგ კონახური მოაიახვეთ თიხის ღრმა ჰერმეტიკში და შეზავეთ წმინდა დაკეპილი მწვანე ხახვით, ნივრით, ახალი ქინძით, კამით, ოხრახუმი, მარილით და მწვანე წიწკით, ბოლოს გახსენით ღვინის სუტი ძრით.

კონახური 1 კგ, მწვანე ხახვი 100 გრ, ნიორი 10 გრ, ქინძი 10 გრ, კამა, ოხრახუმი 10 გრ, ღვინის სუტი ძმარი 50 გრ, მარილი 10 გრ, წიწკა 3 გრ.

## ახალი კამიფორის სანმგელი

შწივე წითელი კამიფორი გარეცხეთ ცივ წყალში, შემდეგ დაწველით და გაატარეთ საცერში. მოაიახვეთ ქვაში, დადეთ ცხახლზე და აფუღეთ 10 წუთი. შემდეგ გადმოღვით და ჩაუშეთ დაკეპილი, დანაყილი ხახვი და ნიორი, ჩაუშეთ დაწველი წითელი პოლპოლი, დაკეპილი ახალი ქინძი,



კამა, ოხრახუმი, მარილი და შაქრის ფენილი.

პამიდორი 1 კგ, ხახვი 100 გრ, ნიორი 10 გრ, პილპილი 1 გრ, მწვანილი 20 გრ, მარილი 10 გრ, შაქარი 10 გრ.

## მწვანე ტყეპლის სანმგელი

მწვანე ტყეპლი გაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაუშეთ ქვაში, დაახსით წყალი იმდენი რომ ტყეპლს შეარადვს და დაღვით მოსახარმად. 15 წუთის დუღილის შემდეგ გადმოღვით, გადართეთ საცერში და შეაგრილეთ. შეგრილებული ტყეპლი გაატარეთ საცერში და გახსენით ისევ თავისი ნახარშით. შეზავეთ დაკეპილი ახალი ქინძით, კამით, ოხრახუმი, მწვანე წიწკით, დაკეპილი ნივრითა და მარილით.

მწვანე ტყეპალი 1 კგ, წყალი 1,2, წიწკა 2 გრ, ნიორი 20 გრ, ახალი ქინძი 10 გრ, კამა 10 გრ, ოხრახუმი 5 გრ, მარილი 10 გრ,

## ისპრამის სანმგელი

შეკვებ ურძინი გარეცხეთ და ჩაწყეთ სის ქვასანეში, შემდეგ გაურეთ და შეკაშეთ წმინდა დაკეპილი ახალი ქინძით, ტარხუნით, კამით, ოხრახუმი, ნივრით, მარილით. ისპრამის სანმგლის მიქვე შეზავეთ წმინდა, ქაომან, ინდურთან ან გოჯთან ერთად.

შეკვებ ურძინის წვენი 100 გრ. ქინძი 10 გრ, ტარხუნა 10 გრ, კამა, ოხრახუმი, 10 გრ, ნიორი 5 გრ, მარილი 5 გრ,

## ზაფხულის პართალი სანმგელი

ზაფხულის ქართული სანმგლის მოსამზადებლად საჭიროა: ახალი, შწივე პამიდორი, შაქლაღი, ან შწივე ტყეპლი, ხახვი, ნიორი და წიწკა. ეველა უხენი კარად ვახუთავებული დაჭურით და დაჭვლიტეთ. შემდეგ ჩაუშეთ ქვაში და დაღვით მოსახარმად. როდესაც საცერისად მოიხარშება, გადმოღვით და გააგრილეთ ახვე დროს შეზავეთ ხმელი ხუნელით და მარილით. შემდეგ გაატარეთ საცერში. სანმგელი მოათავსეთ თიხის ან მომინანქრებულ ჰერმეტიკში. მოერიეთ კარად და დაჭვლიტეთ დაკეპილი ახალი კამა. ზაფხულის აშვარი სანმგელი ზომიერად თხელი და ცხარე უნდა იყოს. იგი იმხარება როგორც ცივ ისე ცხელ, შემწვარ თევზელსა და ზორცეულს.

პამიდორი 800 გრ, ჰლაიგი 600 გრ, ხახვი 50 გრ, ნიორი 20 გრ, კამა 20 გრ, ხმელი სუნელი 10 გრ, პილპილი 5 გრ.



# ზოგი რამ ტყუპების ორთოკადიულ დაავადებათა შესახებ

ფიქრობენ, რომ ორი ან მეტი ნაყოფის განვითარება ერთი ან ორი განყოფიერებული კვერცხურედლიდან არასასურველი პირობების შემოქმედების შედეგია. განყოფიერებული კვერცხურედი ინარჩუნებს ორივე ნაბეჭრის დამოუკიდებლად განვითარების უნარს, მაგრამ მათ შორის ხდება სისხლის, ქაზვამბ — იმ რაოდენობის განაწილება, რამდენიც ერთი ნაყოფით ორსულობას ნმარდება. ყოველივე ეს განპირობებს ტყუპების განვითარების თვისებებებს: აქედან გამომდინარე, ტყუპებით ორსულობა ითვლება საზღვარდ წინაშეა და პათოლოგიას შორის.

განასხვავებენ ერთკვერცხიან და ორკვერცხიან ტყუპებს. ერთკვერცხიანი ტყუპები წარმოიშებიან ერთი კვერცხურედლიდან, გამოირჩებიან აბსოლუტური მსგავსებითა და ერთი სქესისაინ არიან.

ორკვერცხიანები წარმოიშებიან ორი განყოფიერებული კვერცხურედლიდან. ეს ტყუპები შეიძლება სხვადასხვა სქესისაც იყვნენ. მსგავსება მათ შორის ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი დებისა და ძმებისა.

ყველაზე ხშირი ტყუპიანობა გვხვდება ნეკროტიდულ რასაში — აფროკელეში, შემდეგ კვრობილეში და ხალკებად მონგოლიდურ რასაში (დამოხელება და ჩინელებში).

ქართველებში, ჩვენი მონაცემებით ტყუპიანობა ნაკლებია (0, 7%) ვიდრე სხვა რესპუბლიკებში (1, 1%).

ტყუპების დაბადება დამოკიდებულია ძრავალ ფაქტორზე, ეს არის: დედის ასაკი, მშობიარობათა რიცხი, პორმონალური ცვლილებები, სხვადასხვა დაავადება, ნეიროგენული ფაქტორები, ორსულობის სეზონალ-მდელო საშუალებების ხმარება, სოციალუო-ეკონომიური პირობები და სხვა.

ტყუპებზე მშობიარობის მომენტი-სათვის დედა ხშირად 29-30 წლისაა, მამები კი 30-35-ისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის ფაქტორს. ოჯახში ტყუპების ერთხელ გაჩენის შემდეგ არის გარკვეული მიდრეკილება განმეორებითი ტყუპიანობისადმი.

მემკვიდრეობითი ტყუპიანობა დედის ხაზით უფრო ხშირად ორკვერცხიანია, ერთკვერცხიანი კი — მამის ხაზით.

უქანასწელ წლებში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ტყუპიანობის შემცირების ტენდენცია. ამ მოვლენას იმიტ ხსნიან, რომ მშობიარე ახალგაზრდა დედების ზვედრითი წილი ძალიან ვიზარდა.

ტყუპები თავისი კონსტიტუციური სისუსტის გამო ადვილად ავადდებიან. ორჯერ მეტად უნებართლბათ სხვადასხვა მანკი — თხდაყოლილი ანომლიები: სიეღმი, გულის მანკი, ტერფმრულობა, მტკენის დეფიცი-

ციები, სახსრების ქარბი მოძრაობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბარძაყის თხდაყოლილი ამოვარდნლობა ტყუპებს არ ემართებათ.

ჯდომითი მდებარეობით და სხვა პათოლოგიური მდებარეობით დაბადებულ ტყუპებს კი ამოვარდნობა და სხვა ავთი ემართებათ, როგორც სხვა ბავშვებს.

თუ ერთკვერცხიანი ტყუპების წყვილში ერთ-ერთი არის დაავადებული ბარძაყის თხდაყოლილი ამოვარდნობით, აუცილებელი არ არის, მეორეაც აღმოჩნდეს. მაგრამ უხშირეს შემთხვევებში მეორეს (ჯალს) ეწვეება და ბარძაყის სახსრის განუვითარებლობა ან ტერფმრულობა ან სკოლიოზი და სხვა რამდენიმეა, რომელიც დაკავშირებულია შემავარდნებულ ქსოვილის არასრულდასოვებლბათთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტყუპები საჭიროებენ განსაკუთრებულ სიფრთხილს. მათი ვაზრდა აუცილებელია თვისუფლად, უფკვირად. სამშობიარო სახლბადნევე საჭიროა ყურადღების გამახვილება მათ ფიზიკურ განვითარებაზე, დროულად უნდა იქნას ჩატარებული ყოველგვარი პროფილაქტიკური ღონისძიებები და ხშირი ორთბოდეული კონტროლი.

ეჩიმი ორთბოდე მ. პაპაშრინძე,

ბარძაყის პირველ გვირდზე — ქოზალუთის რაიონის სოფელ ხუშუნის მხარბი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დ. პუბაბი ციური მოწარმობი; მეთბოზაზ — ქოზალუთის პიონერული ბაზაბი „კოლხაბი“.

<p>მთავარი რედაქტორი მარბაკა ბარბთაშვილი -გლანი რედაქორ МАРИКА БАРАТШВИЛИ</p>	<p>სარედაქციო კოლეგია: ბ. ბანძულაძე, ნ. ბაშინლაშვილი, ნ. ბარბაქაძე, ლ. პაპაბაძე, ზ. პაპაბაძე, ე. ძილასონია, თ. ლაშქარაშვილი, კ. ლონათიაძე, ე. შანინა, კ. შანინა, დ. ბარბაქაძე (ზეატ. რედაქტორი), ნ. ზალუბანიშვილი, ლ. შაფარული, ნ. აბაბაბაშვილი, ნ. ჯაბაბაშვილი, ე. ჯაბაბაბიძე (პ. მგ. მღვიანა).</p> <p>ტექრედაქტორი ნ. ბუკია</p>	<p>საქ. კ. ცენტრალური კომბტეტის გამომცემლობა</p>
---	---	--

შრომის წითელი დროშის ორდენისაინი საქ. კ. ც-ის გამომცემლობის სტაბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 ორენა Трудовой Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.  
 Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-78, პასუხმცემელი მდიონის — 99-71-68.  
 მხედველი რედაქტორის — 93-98-57. საბჭოთა განყოფილების 93-98-54. ვალდებუ ასწყოზბდ 5.07.84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.08.84 წ. ქალბდის ზობა 60X90/4. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საბჭოცხო-საგამომცემლო თაბაბი 5.8.

Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8 ტარაბი 140.000. შეკ. 1492, უე 08657



6257/121

საქართველოს  
ფოტოარქივი



ფაბი 30 კვპ

0500360 76178